პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,

[illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა [illegible] უქმეებისა დილ. [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 222 კვირა, 27 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 27 ნოემბერი, 192 წ. № 222

27 ნოემბერი
კვირა

1917. გერმანია დასთანხმდა დროებითი ზავის ჩამოგდებაზე.

ლუხონინის შტაბის გამოცხადება კონტრ-რევოლუციონურად და ახალი შტაბის შედგენა დვინ კში.

ბოლშევიკების მიერ დასავლეთის ფრონტის შტაბის ხელში ჩაგდება.

საბჭოთა არჩევნებისათვის

თეზისები აგიტატორებისათვის მუშათა და წითელ არმიელთა თბილისის საბჭოს არჩევნების საკითხის შესახებ

1) მუშათა კლასის ამოცანები სოციალისტური რევოლუციის ხანაში მდგომარეობენ იმაში, რათა ბურჟუაზია ძალა-უფლებას ჩამოაშოროს, დაანგრიოს მისი აპარატები მშრომელთა ჩაგვრის და ძალადობისა, შექმნას თავისი მუშური დიქტატურის ორგანოები, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გასატეხად და მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობათა სწრაფი გარდასაქმნელად სოციალისტურ საფუძვლებზე.

2) მუშათა კლასის ამ დიქტატურის გამოხატულების ფორმას წარმოადგენენ მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოები—ეს ორგანიზაციები, რომლებშიაც თავს იყრიან მშრომელთა ფრიად ფართე წრეები.

3) დეპუტატების საბჭოები პირველად აღმოცენდნენ რუსეთში 1905 წელს, რუსეთის მუშების რევოლუციონური მოძრაობის უმაღლესი აღტყინების დროს. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო უკვე 1905 წელში სდგამს პირველ ინსტიქტიურ ნაბიჯებს ძალა-უფლების დასაპყრობათ და პეტერის საბჭო იმ ხანად მხოლოდ იმდენად იყო ძლიერი, რამდენადაც მას ჰქონდა შანსები ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. როცა გაიმარჯვა მეფის კონტრ-რევოლუციამ და მოძრაობამ იკლო, საბჭომ არსებობა სრულიად შესწყვიტა!

4) თებერვლის რევოლუციის დასაწყისში 1917 წ. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა რუსეთში პირველივე დღეებიდან მოიზიდეს და თავის გავლენის წრეში მოაქციეს ხალხის მასსების უფართოესი წრეები და ერთბაშად დაიმსახურეს უდიდესი ავტორიტეტი, რადგან ნამდვილი ძალა მათ ზურგზე და ხელში იყო. მაგრამ როდესაც ლიბერალურმა ბურჟუაზიამ ძალა მოიკრიბა რევოლუციისაგან პირველი დამარცხების შემდეგ და როცა მენშევიკები და ესერები დაეხმარენ რუსეთის ბურჟუაზიას ძალა-უფლება ჩაეგდო ხელში, საბჭოების მნიშვნელობა თან და თან კლებულობდა ივლისის დღეების და კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ფართო მასსები ამოძრავდნენ და მოახლოვდა კერენსკის კონტრ-რევოლუციონურ-ბურჟუაზიულ, შეთანხმებულთა მთავრობის დამხობის მომენტი, მუშათა დეპუტატების საბჭოები გადამწყვეტ ძალად იქცნენ და მათმა მე-3 ყრილობამ ოქტომბრის დღეებში ხელთ აიღო ძალა უფლება, ხელის უფლება გადავიდა რუსეთის მუშების და გლეხების ხელში.

5) ჩვენში, საქართველოში, 1917 წლის გაზაფხულის რევოლუციის პირველივე დღეებიდან შეიქმნენ საბჭოები, მაგრამ, როცა, მთელ რიგ ისტორიულ პირობების წყალობით, ძალა-უფლება ბურჟუაზიის და კონტრ-რევოლუციონერ მენშევიკების ხელში გადავიდა,—საბჭოები არარაობად იქცნენ. სამხრეთისაკენ დენიკინის შემოტევის დღეებში 1919 წ. გაზაფხულზე მენშევიკებმა მოიწვიეს საბჭო, ალბად იმისათვის, რომ დაედასტურებინათ სიტყვები „ზოგჯერ მკვდრებსაც შეუძლიათ ლაპარაკი",—როცა საფრთხემ განვლო, საბჭოები სავსებით გაქრნენ.

6) თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო მაშინ, როცა მენშევიკები იდგნენ ხელისუფლებას სათავეში, იკრიბებოდა მმართველ პარტიის მიერ საჭირო შემთხვევებში თავისი ავტორიტეტით პროლეტარული რევოლუციის საქმის მორიგი გამცემლობის დასადასტურებლად. საბჭო არ შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ორგანოდ, რადგან ძალა-უფლება ხელთ ეპყრა ბურჟუაზიის დამფუძნებელი კრებით.

7) სოციალ-დემოკრატების ცდა საქართველოში, ნიადაგი გამოეცალათ საბჭოებისათვის, დაემახინჯებინათ მათი ხასიათი და შემდეგ შეეყვანათ ისინი საერთო ბურჟუაზიულ დემოკრატიულ, კონსტიტუციურ სისტემაში, წარმოადგენს მუშათა საქმის გამყიდველობას და მუშების მოტყუებას, რადგან ნამდვილი საბჭოები შეიძლებელია იყვნენ მხოლოდ როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ცვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ამსხვრევს მას და მის მაგივრად ამყარებს მუშურ დემოკრატიას.

8) მენშევიკური პარტიის პროპაგანდა საქართველოში საბჭოების სისტემის და დამფუძნებელი კრების შეთავსების შესახებ წარმოადგენს ან პროლეტარულ რევოლუციის განვითარების კანონების სრულ გაუგებრობას, ან მუშათა კლასის შეგნებულ მოტყუებას. ორი მტრული კლასის ბატონობის შეერთება და შერიგება, რასაკვირველია, შეუძლებელია.

9) საქართველოს „დამოუკიდებელ" სახელმწიფოს არსებობის განმავლობაში, მენშევიკები თავის პოლიტიკაში ატარებდნენ ფორმულას: „დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს (ბოლშევიკებს)". ობიექტიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ არჩევანი უნდა მომხდარიყო კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის და შეაფარეს რა თავი ბურჟუაზიულ იმპერიალიზმის კალთებს, ქართველ მენშევიკებს თავისი წვრილ ბურჟუაზიული ბუნების თანახმად და თვით დასავლეთის მოთხოვნის ძალით ევროპიულ რეაქციასთან შეკავშირებით, უნდა ეწარმოებინათ პოლიტიკა რევოლუციის წინააღმდეგ, საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

10) მხოლოდ პროლეტარულ რუსეთის წითელ ჯარების მოსვლის შემდეგ საქართველოს მუშებს მიეცა რეალური შესაძლებლობა ძალა-უფლება აეღო ხელში და განეხორციელებინა თავისი მუშური დიქტატურა.

11) თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო, როგორც არჩეული ორგანო, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული ქალაქის მუშების და წითელ არმიელების მასსებთან, შესძლებს საქმებით განახორციელოს მათი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები.

12) თბილისის მუშათა დეპუტატების პირველი წითელ საბჭოს შეკრებას აქვს მნიშვნელობა არა მარტო სრულიად საქართველოს მასშტაბით, როგორც გადასვლას რევკომების სისტემიდან საბჭოების რეჟიმზე, არამედ მნიშვნელობაც სრულიად რუსეთის მასშტაბით, რამდენადაც ამით საქართველოს მუშურ გლეხური მასსები უშუალოდ ეზიარებიან საბჭოთა დიდ ფედერაციას.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

პირველი გაკვეთილი

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის გამო აზრთა გაცვლა გამოცვლა პარტიულ ცენტრებსა და თბილისის ორგანიზაციაში მოთავდა. არსი საკითხისა გამორკვეულია, ფორმა კავშირის განხორციელებისა საკმაოთ ჩარის გამოყალიბებული. პარტიულ მასსაში ადგილი არ ჰქონია ყოყმანს, პირიქით გამოირკვა სრული ერთსულოვნება, რაიც მომასწავებელია საკითხის მომწიფების. რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებანი უტრიალებდენ საკითხის მეორე მხარეს: ფედერაციის გატარებაში რომელი ტაქტიკური ხაზი უფრო მისაღებია, უფრო ნაყოფიერი. ესეც ადვილად გადაწყვეტილ დარჩა: თბილისის ორგანიზაციაში დღეს არ არსებობს შეხედულებათა სხვა და სხვაობა ამის შესახებ.

25 ნოემბერს ფედერაციის საკითხი გაცილდა პარტიულ ორგანიზაციის ფარგლებს და მუშათა ფართო მასსის მსჯელობის საგანი გახდა. ყველა რაიონებში ერთ და იმავე დროს შესდგა ფართო კრებები ფაბრიკა-ქარხნებში. თავისი სიტყვა სთქვა და მკაცრი დასდო ფედერაციის იდეას თბილისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმმა, რკ. გზ. სახელოსნოების მუშებმა—თანხმობისა და აღფრთოვანების განაჩენი გამოიტანეს რკ. გზ. სახელოსნოებში ორი ათასამდე შეკრებილ პროლეტარებმა.

ასეთივე განაჩენი რეზოლუციები გამოიტანა ქალაქის ყველა კუთხის მუშებმა თავ-თავიანთ მიტინგებზე.

კამპანია ჩინებულათ დაიწყო—მრავალრიცხოვნობა და ცხოველი ყურადღება მსმენელთა ახასიათებდა ყველა კრებებს. პროლეტარულ აუდიტორიას, რომლისთვისაც მოელვარე სიტყვები „კომუნისტური მანიფესტისა"—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!—ჩვეულ ქადაგებათ კი არ მიაჩნია, არამედ გულის ფიცარზე აქვს აღბეჭდილი, არა თუ არ ეძნელებოდა შეკავშირების საჭიროება-აუცილებლობის გაგება, პირიქით უკვირდა კიდეც, რომ ფედერაციის საჭიროებას უმტკიცებდენ ორატორები. მსმენელთა შეკითხვები უმთავრესად ეხებოდნენ საკითხს: რატომ უნდა შევჩერდეთ მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შეკავშირებაზე და შემდეგი ნაბიჯი, ბუნებრივი და აუცილებელი, არ გადავდგათ, ე. ი. საბჭოთა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ფედერაციის დაკავშირება საბჭოთა რუსეთთან არ გადავსწყვიტოთ ახლავე?

ეს შეკითხვები მეტის მეტად დამახასიათებელია. პროლეტარული მასსა აქტივობას იჩენს ამ მნიშვნელოვან საკითხში და მით [illegible] ჰკოფს თავის ინტერნაციონალურ ბუნებას, რომლის წაბილწვა, რომლის გადაგვარება ვერ მოუხერხებიათ ქართველ მენშევიკებს, ქართველ შოვინისტებს.

საბჭოთა რუსეთისადმი შიშს და ზიზღს სთესდენ ისინი საქართველოს მშრომელ მასსაში, დარწმუნებულიც იყვნენ რომ ნაციონალიზმის შხამით საბოლოოდ მოსწამლეს შრომის შვილები. მაგრამ დღეს თვით პროლეტარული მასსა ცხადჰყოფს მთელ შავი მუშაობის უნაყოფობას: ქართველი მუშა არა თუ შიშით და ზიზღით შეპყრობილი არ არის რუსეთის მუშა გლეხებისადმი, პირიქით ის მოითხოვს დაუყონებლივ მჭიდრო კავშირის აღდგენას მათთან.

ეს სერიოზული გაკვეთილია როგორც საბჭოთა ხელისუფლების მუშაკებისთვის, ისე ჩვენთვისაც, რომელნიც ვალდებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მასსის სულისკვეთებას, ვეცადოთ ამ სულისკვეთების შეცვლას, როცა ის არანორმალურ, არაპროლეტარულ ხასიათს ღებს, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვალდებული ვართ სისწორით, გადაუჭარბებლათ ავწონ-დავწონოთ მასსის ტკივილები, არ გავაზვიადოთ ჩვენს წარმოდგენაში ნაციონალისტური საფრთხე, რომელიც ზოგ ჩვენგანს ეხლაც ელანდება ქართველ მუშების მასსაში.

თბილისის მუშებმა კამპანიის დასაწყისშივე გამოამჟღავნეს თავისი ჭეშმარიტი ინტერნაციონალური ბუნება და თავისი ლტოლვა ინტერნაციონალური სოლიდარობის აღდგენისაკენ.

კამპანიის მორიგი ამოცანა—ეს სულისკვეთება მტკიცე ნებისყოფათ ვაქციოთ და მენშევიკების მიერ დარღვეული პროლეტარული ერთობას ნათელი გამოხატულება მივცეთ და გარკვეულ ფორმებში ჩამოვაყალიბოთ.

თერთმეტი წამებულის ხსოვნას

(ორი წლის თავზე)

1919 წ. ოქტომბერ ნოემბერში გურიაში იფეთქა აჯანყებამ კომუნისტური დროშის ქვეშ. მას მიზნათ ჰქონდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და საბჭოთა წყობილების გამტკიცება საქართველოში. ამ კომუნისტურ აჯანყებას თანაუგრძნობდა გურიის მშრომელი ხალხის უმეტესობა, ე. ი. ყველა ის, ვინც მენშევიკური საწამლავით არ იყო მოწამლული—გამოყეყეჩებული ან პირდაპირ მოსყიდული „თფილ-თფილი" ადგილებით. ეს აჯანყება, როგორც ვიცით, დამარცხებით გათავდა, რასაც მოყვა გაძვინვარებული, გაშმაგებული დევნა—რეპრესიები, ციხეები, წამება, დახვრეტა. ამბოხებულმა რეაქციამ საშინელი შური იძია აჯანყებულებზე არა იმიტომ, რომ აჯანყებას დიდი მსხვერპლი მოყვა გაბატონებული კლასის მხრით (თითქმის არავითარი მსხვერპლი არ ყოფილა, ვინაიდან ბრძოლის ფრონტი აღარ გაშლილა, სამოქალაქო ომი აღარ გაჩაღებულა იმავე აჯანყებულების ცდით, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა,) არამედ იმისთვის რომ ბოლშევიკ კომუნისტებისათვის მომავლისათვის ჭკუა ესწავლებინა, დიდია მსხვერპლი აჯანყების, მარა უფრო დიდია მისი პოლიტიკურ მორალური მნიშვნელობა. ვინაიდან ამიერიდან მშრომელი და არა, ჩარჩ-ბაცაც-სპეკულიანტ ჯალათები) გურია აშკარათ გამოეთიშა მენშევიკურ ანუ ბურჟუაზიულ „დემოკრატიას" და გადავიდა კომუნისტურ ბანაკში, ამ კომუნისტური გამოსვლით გურიამ სამუდამოთ ჩამოირეცხა ის კონტრ-რევოლუციონური ლაქა, რომელიც მას მოსცხეს მისმა უღირსმა შვილებმა.

ნოემბრის აჯანყებამ იმსხვერპლა თერთმეტი ჩვენი ამხანაგი, კომუნისტური პარტიის წევრნი. მენშევიკურმა პარტიამ ეს ტყვე-კომუნისტები ჯერ აწამა და მერე დახვრიტა. ვინ იყვნენ ეს ამხანაგები? ყველა ესენი იყვნენ უბრალო შრომის შვილნი, ღარიბი გლეხები გურიის სხვა და სხვა კუთხიდან. იმათ ზურგი შეაქციეს მენშევიკებს, როგორც მშრომელი ხალხის მოღალატე გამცემ პარტიას, და შეგნებულათ გადმოვიდენ ბოლშევიკების მხარეზე. იმათ ზედმიწევნით ჰქონდათ შეთვისებულ-შესისხლხორცებული ის უბრალო, მარა დიადი ჭეშმარიტება, რომ ერთად ერთი შეუპოვარი, დაუღალავი და თავგანწირული დამცველი არა მხოლოთ სიტყვით, არამედ საქმით, მოქმედებით მშრომელი და დაჩაგრული ხალხისა,—არის ბოლშევიკური ანუ კომუნისტური პარტია. ისინი გამსჭვალული იყვნენ პარტიული რკინის დისციპლინით, ე.ი. ყოველ წამს მზად იყვნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვათ ის პოსტი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში ჩააბარებდა მათ პარტია და როცა დადგა ისეთი წამი, პარტიის მოწოდების თანახმათ ისინი მედგრათ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე. მათ ღირსეულათ შეასრულეს დაკისრებული საქმე. პარტიულ მეთაურების ბრძანებით თავანებათ ხელი აიღეს ბრძოლაზე და უკან დაიხიეს. თუმცა პირადათ მათ ერჩიათ ბრძოლის გაგრძელება და გაჩაღება. ვერაგმა მტერმა ისინი მუხანათურად ხელში ჩაიგდო და ბარბაროსული წამების შემდეგ, ტყვისმჭამელებით დაფლით-დაგლიჯა. მათ დაპირდნენ: თუ დანებდებით და იარაღს ჩაგვაბარებთ არ დაისჯებითო. ისინიც დაენდვენ გაიძვერა მტრის მუხანათურ დაპირებებს და გახდენ მსხვერპლი გამოუცდელობის და რევოლუციონური გულუბრყვილობისა. მათ, სამწუხაროთ, კიდევ სწამდათ „ძლევამოსილი" მტრის ოდნავი პატიოსნება მაინც.

ჩვენთვის მეტად მწვავე და აუტანელია არა ის, რომ ეს სიცოცხლით სავსე პატიოსანი სოფლის მშრომელი ახალგაზრდები მსხვერპლათ შეეწირენ კომუნისტურ რევოლუციას: ასეთი მსხვერპლი მრავალი იყო და კიდევ აუარებელი იქნება საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციის ხანაში, ვინაიდან უდიდესი საკაცობრიო საქმე, ისტორიაში ჯერ სრულიად არ გაგონილი, ასეული მილიონი მონების განთავისუფლება მსოფლიო ავაზაკების ბორკილ კლანჭებისაგან და შრომის მეუფების დამყარება აუცილებლათ უთვალავ მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენთვის მწვავე და აუტანელია არა მათი სიკვდილი კომუნიზმისათვის, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ისინი ყოველ წამს მზათ იყვნენ—თავი გაეწირათ საყვარელი იდეისათვის. ჩვენთვის მწვავე და აუტანელია, ჩვენ განუსაზღვრელათ გვაშფოთებს ის, რომ ისინი ჯერ აწამეს და მერე მოკლეს, როგორც ტყვე—კომუნისტები, დაქირავებულმა მკვლელებმა. დიდი და დაუფასებელია ღვაწლი კომუნიზმის სამოქალაქო ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულების. მარა უფრო დიდია დაუფასებელი ღვაწლი თერთმეტი გურული კომუნისტის, რომლებიც აწამეს ტყვეობაში, ხელფეხ შეკრულ-შებოჭილნი.

რა უანდერძეს ამ წამებულებმა მშრომელ გურიას? რა იყო მათი უკანასკნელი ამოძახილ-ამონაკვნესი? თავგანწირული ბრძოლა კომუნიზმისათვის, შეუჩერებელი ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე და რევოლუციონური შურის ძიება. ბრძოლა და შურის ძიება.—აი რის ამოძახილება მოასწრეს მათ, სანამ მათი, სიცოცხლით მაჩუხჩუხე და ახალგაზრდა სხეულნი ნაფლეთებათ იქცეოდენ.

ისინი იყვნენ კომუნისტური რევოლუციის პირველი მერცხლები გურიაში, რომლებმაც თავისი სიკვდილით დაუბრუნეს მას (გურიას) საპატიო ადგილი ახალი რევოლუციის ისტორიაში. ამ წამებულების უმანკო სისხლმა ბრმებსაც კი აუხილა თვალი მშრომელ გურიაში და ნათლათ, აშკარათ დაანახა მათ, თუ რას ნიშნავს ბოლშევიკური (ანუ კომუნისტური) რევოლუცია და მენშევიკური (ანუ წვრილ ბურჟუაზიული) კონტრ რევოლუცია.

არ გამართლდა ჯალათების ანგარიში, რომლებიც ლამობდენ—კომუნისტები წამებით და ცოფმორეული ტერორით კომუნიზმი ერთბაშათ ამოეფხვრათ გურიაში. მოხდა პირიქით: ნოემბრის დღეებიდან კომუნისტურმა იდეებმა უფრო ღრმათ და მკვიდრათ გაიდგეს ფესვები მშრომელი გურიის ფართო მასსაში.

და თუ დღეს ჩვენში ძლევა-მოსილათ ფრიალებს საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტური დროშა ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ წამებულთ.

და ამისათვის ღირდა სიკვდილი, ღირდა წამებაც...

წამებულო ამხანაგებო! თქვენ პირნათლათ შეასრულეთ თქვენი წმინდა ვალი. თქვენ მთლად დაიდევით ჩვენ კომუნისტურ იდეალს. თქვენი სახე, გაბრწყინვებული მოწამებრივი შარავანდედით, მუდამ სათაყვანებელი და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება ყველა მებრძოლ კომუნისტისათვის.

დღეს ორი წლის თავზე, ჩვენ თქვენი თანამებრძოლი ამხანაგები, მოგაგონებთ თქვენ. ჯალათები კი უნდა ძრწოდენ თქვენი წმინდა აჩრდილის წინაშე.

თავის მკვრა.

თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა საერთო კრების რეზოლუცია (5 ნოემ.)

„მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის და [illegible] მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის—ფედერატიულ შეკავშირების შესახებ, და მიიღო რა მხედველობაში რუსეთის პროლეტარული რევოლუციის ვითარება პოლიტიკური და ეკონომიური მხრით, აგრეთვე საერთაშორისო კონტრ რევოლუციონურ და იმპერიალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტით გამოსვლის საჭიროება და უკილობლობა, თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშათა საერთო კრება სრული თანხმობით და აღფრთოვანებით ეგებება კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირების შესახებ. ჩვენ, მუშები დაინტერესებული ვართ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაში მთელ კაპიტალიზმზე, და აქტიურად გავატარებთ ამ დადგენილებას. გაუმარჯოს ამ.-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

(რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული. მიტინგს ორი ათასამდე მუშა დაესწრო, რეზოლუციის მიღებას ტაშის გრიალი და „ვაშაურას" ძახილი მოჰყვა).

ინსტრუქცია

ქალ. თბილისის და მისი რაიონების მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის

1. ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მოქალაქენი, განურჩევლად სქესის, მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოებისა და სხვ., რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი.

ა) ყველა, ვინც ცხოვრების საშუალებას იძენს წარმოებითი და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, როგორც: მუშები და მოსამსახურენი ყველა სახის და კატეგორიისა, დაბინავებულნი მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასოფლო მეურნეობაში და სხვა.

ბ) წითელ არმიელნი, რომელნიც ეწევიან საგარნიზონო სამსახურს და მუდმივად იმყოფებიან თბილისსა და მის რაიონებში.

გ) მოქალაქენი ზემო ჩამოთვლილი კატეგორიებში შემავალნი, რომელთაც რომელიმე ხარისხით დაკარგული აქვთ შრომის უნარი (დასახიჩრებული მეომარნი და სხვა).

2. არ ირჩევენ და არც შეიძლება იყვნენ არჩეულნი, თუნდაც ისინი შედიოდენ ერთ ერთ ზევით ჩამოთვლილ კატეგორიაში:

ა) პირნი, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით მოგების მიღების მიზნით;

ბ) პირნი, რომელნიც უშრომელ შემოსავლით ცხოვრობენ (როგორიცაა: კაპიტალის პროცენტები, შემოსავალი წარმოებიდან, შემოსავალი ქონებიდან და სხ.)

გ) კერძო მევაჭრენი და მევაჭრე კომერციული შუამავალნი;

დ) ბერები და სხვადასხვა სარწმუნოების კულტების სასულიერო მსახურნი;

ე) მეფის ყოფილ პოლიციის, დამცველ განყოფილებათა და დამხობილ მთავრობის ყოფილ საგანგებო რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) პირნი, ცნობილნი მიღებული წესით სულით ავადმყოფებად ან სულელებად, და აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირნი.

ზ) პირნი, დასჯილნი ანგარებითი და გამაწბილებელ დანაშაულობისათვის, კანონით ან სამოსამართლო განაჩენით დაწესებული ვადით.

3. წარმომადგენლობის ნორმა მუშათა და წითელ არმიელთა თბილისის საბჭოში: 150-დან 200 ამომრჩევლამდე გზავნის ერთ დეპუტატს, ხოლო ამაზე ზევით თითოეულ 200 ამომრჩეველზე თითო დელეგატს.

შენიშვნა 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, სახელოსნოში და სხვა არის 200 ზე მეტი ამომრჩეველი, 100 კაცზე მეტი, ე. ი. ნორმის ნახევარზე მეტი, ისინი ირჩევენ თბილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

შენიშვნა 2 წარმოებები და ცალკე სამხედრო ნაწილები, რომელთაც არ ყავთ 150 ამომრჩეველი, ერთიანდებიან საერთო არჩევნებისათვის.

შენიშვნა 3. იქ, სადაც გაერთიანება მაინც ვერ იძლევა 150 ამომრჩეველს (მაგ.: 120, 130), ამომრჩევლები დამოუკიდებლად რაოდენობისა გზავნიან თბილისის საბჭოში ერთს წარმომადგენელს.

შენიშვნა 4. იქ, სადაც არჩევნები ხდება პროფესიონალურ კავშირების მიერ გამართულ საზოგადო კრებებზე (მაგალითად: საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხვა), ირჩევენ ერთ დელეგატს 500 შეკრებილზე.

4. დეპუტატების არჩევნები წარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშების, მოსამსახურეების და რკინის გზელების, სამრეწველო და სავაჭრო წარმოებათა მიხედვით (ფაბრიკებში, ქარხნებში, სარეწაოებში, სახელოსნოებში და სამსახურის ადგილას).

ბ) წითელ არმიელებისა (ბრიგადებში, პოლკებში, ცალკე კომანდებში და ბატალიონებში, ცალკე კავარმიის პოლიტმართველობისა და საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურეების, წვრილი მრეწველობის მუშების, შინა მოსამსახურეთა და სხვათა საერთო კრებებზე, რომლებსაც აწყობენ სათანადო პროფკავშირები.

შენიშვნა: მუშების და წითელ არმიელთა დეპუტატები თბილისის საბჭოში აირჩევიან მხოლოდ მუშები, მოსამსახურენი და წითელ არმიელნი, რომელნიც ცხოვრობენ და დაბინავებულნი არიან ქალ. თბილისის და მისი რაიონების საზღვრებში.

5. არჩევნების ხელმძღვანელობისათვის არსდგება ცენტრალური, რაიონული, საგარნიზონო, საბრიგადო, პოლკის და ბატალიონის საარჩევნო კომისიები მუშათა რაიონებისა და წითელი არმიისათვის.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია ირჩევა 7 პირისაგან: ერთი ქალაქის რევკომიდან, ოთხი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან, ერთი კ. ც. ა. პ. მმართველობიდან და ერთიც საქართველოს წითელი არმიის პოლიტგანყოფილებიდან.

7. დანარჩენი საარჩევნო კომისიები არ დგება:

ა) რაიონული—სამი კაცისაგან.

ბ) საგარნიზონო—სამ კაცისაგან.

შენიშვნა 1. ქალ. თბილისი იყოფა 4 საარჩევნო უბნად.

შენიშვნა 2. ბრიგადის, პოლკის, ბატალიონის და სხვათა საარჩევნო კომისიებს ნიშნავს გარნიზონის საარჩევნო კომისია.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს მთელ არჩევნებს, სცემს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების დღეს და ვადას, ამტკიცებს ან აუქმებს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, აძლევს დროებითი მანდატებს, ადგენს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს, და არჩევნების

გათავების შემდეგ გადასცემს ყველა მასალას საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

9. რაიონული, საგარნიზონო და სხვა საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობენ არჩევნებს ადგილობრივად, წინასწარ არკვევენ თითოეულ წარმოების, საზოგადო საქმის ამომრჩეველთა რაოდენობას, ხელმძღვანელობენ [illegible], მოსამზადებელი მუშაობის და სხვათა გამოთვლებს საერთო არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და ავსებენ დასკვნით ანგარიშს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

10. დეპუტატების არჩევნები წარმოებს საჯაროდ საზოგადო კრებებზე ხმის მიცემის მაჟორიტარული სისტემით—ხელის აწევით.

11. კრებები ხდება საარჩევნო კომისიის წევრის ან მისი წარმომადგენლის დასწრებით.

12. არჩევნების შესახებ ადგენენ ოქმს საარჩევნო კომისიის წევრი ან მისი წარმომადგენლის და საარჩევნო კრების თავმჯდომარე ხელის მოწერით.

13. არჩევნების დროს წარმოების მუშაობა ჩერდება, იმ შემთხვევის გამონაკლისით, როცა მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია ტექნიკურ მიზეზებით.

14. საარჩევნო კრება ითვლება კანონიერად და უფლებამოსილად, თუ მას დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არა მესამედზე ნაკლები.

15. თუ დანიშნულ ვადაში ქვორუმი არ შედგა, იწვევენ მეორეჯერ კრებას, რომელიც ითვლება კანონიერად დამსწრეთა რაოდენობის დამოუკიდებლად.

16. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები: [illegible] [illegible], გიორგი ყურულაშვილი, მიხეილ კახიანი, ლევან ღოღობერიძე, [illegible], [illegible] და [illegible]; ამ კომისიაში შედის ყოველგვარი ცნობებისათვის.

საგარნიზონო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე ამხ. ნ. [illegible] და წევრები ამხ. [illegible] და [illegible].

1. რაიონისა—თავმჯდომარე ამხ. თბილაძე, წევრები ამხ. [illegible] და [illegible].

2. რაიონისა—თავმჯდ. ამხ. ბ. კალანდაძე, წევრები ამხ. ნაზაროვი და [illegible].

3. რაიონის—თავმჯდ. ამხ. ჯორბენაძე, წევრები ამხ. [illegible] და [illegible].

4. რაიონი—თავმჯდ. ამხ. ბურჯანაძე, წევრები ამხ. [illegible] და ნ. [illegible].

ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს პროფსაბჭოს კლუბში (მუშათა სასახლე; უფრო [illegible] [illegible]).

1-ლი რაიონული კომისია—ჩერქეზიშვილის ქ., 143, ბინა 1 ლი რაიკომისა.

2-ე „ „ მიხაილოვის ქ. 96.

3-ე „ „ კახეთის მოედ (ავლაბარი).

4-ე „ „ ვერის დაღმართი, სამ. მილიცია-[illegible].

ჩვენს რესპუბლიკებში

რუსეთი

ძლიერი რადიო სადგური.

მოსკოვი 12 ნოემ. ძლიერი რადიო სადგურის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 20 კილომეტრი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 1922 წ. 1 თებერვალს.

ანარქო-ბანდიტური ორგანიზაცია ოდესაში.

ოდესა, 22 ნოემ. (ტელეგრ.) ოდესის საგუბერნიო განსაკუთრებულმა კომისიამ აღმოაჩინა ანარქო-ბანდიტური ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი იყო ალექსანდროვიჩი, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 35 კაცისაგან შემდგარი ბანდა. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] დამალული იარაღი, [illegible] [illegible] [illegible]. დამტკიცებულია, რომ ალექსანდროვიჩის ანარქო-ბანდიტური ორგანიზაციის წევრებს „იდეური" მატერიალური კავშირი ჰქონდათ ანარქისტულ ფედერაციასთან.

ამხ. ლენინის სიტყვა

მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე 29 ოქტ.

ამხანაგებო! სანამ დავიწყებდე მოხსენებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ წინდაწინვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს თემა არ შეიძლება [illegible], როგორც [illegible] [illegible] ქვეყნებში; უფრო [illegible] რომ გამოვიყენო ჩემი აზრი, გეტყვით, რომ ეს შეიძლება [illegible] [illegible] [illegible] [illegible] პარტიის [illegible] შესახებ. [illegible], რომ ამ კითხვის გარჩევის დროს უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ კანონების და დადგენილებათა გარჩევა და შეფასება, ის კანონების რომლებიც შეიცავენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ამ თემით [illegible] [illegible] უფრო კანონიერი, ოღონდ უფრო მეტად რიცხვი ამ დადგენილებათა და საჭირო მათი [illegible], იქ [illegible] წესის შესახებ, შედეგების საერთო ჯამის [illegible]; [illegible] ეს საკითხები უფრო ადვილად და [illegible] [illegible] [illegible], რომლებსაც მე შევამჩნიე ეს სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის დროს. ამასთან ერთათ არა ნაკლებ კანონიერი იქნებოდა სურვილი გავეცნობოდეთ იმ ფაქტებს და ციფრებს, რომლებიც უკვე მოგვცა ჩვენმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შედეგების შესახებ. რასაკვირველია, ორი-ოდე ასეთი ფაქტების, რომლებიც დადასტურებული არის და კარგათ გამორკვეული, [illegible] [illegible] ფაქტების [illegible] არ არის ძალიან დიდი, მაგრამ ასეთები მაინც მოგვეპოვება. და ეჭვს გარეშე, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გასაცნობათ, მის ანგარიშის დასაწყისათ აუცილებელია ამ ფაქტების აღნიშვნა, საერთო ჯამის გაკეთება. ვერც ერთს ამ თემას ვერ შევეხები მე დღეს, ხოლო თუ თქვენ დაგაინტერესებთ ისინი, მე დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლებით მოიძიოთ მომზადებული ცნობები და მასალები. ამჟამად მაინტერესებს სხვა საკითხი, საზოგადოებრივ საკითხი ტაქტიკაზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, რევოლუციონურ სტრატეგიაზე, რომელსაც ვაწარმოებთ ჩვენ ახალ პოლიტიკასთან შეფარდებით და იმის პოლიტიკის შეფასებაზე, თუ რამდენათ შეესაბამება ეს პოლიტიკა ჩვენს ამოცანებს, ჩვენს საერთო შეხედულებას ამოცანების—ერთი მხრით, მეორე მხრით კი—რამდენათ შეეგუება ჩვენი ცოდნა და პარტიული შეგნება ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობას. ამ მხოლოთ ამ სპეციალურ საკითხზე მსურდა მე გამემართა საუბარი.

პირველ ყოვლისა მე მაინტერესებს კითხვა იმის შესახებ, თუ რა აზრით შეიძლება ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს ლაპარაკი ძველი ეკონომიური პოლიტიკის უკანონობაზე, იქნება თუ არა წარსული მისი შეფასება, როგორც შეცდომის და ბოლოს, თუ ეს მართალია, რა აზრით შეიძლება აღიარებულ იქნას სასარგებლოთ და აუცილებლათ ეს შეცდომები?

ჩემის აზრით ამ კითხვას აქვს მნიშვნელობა იმის გასაგებათ, თუ რამდენათ ერთსულოვანი ვართ ჩვენ პარტიაში ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი კითხვების გაგებაში.

პარტიის ყურადღება უნდა იყოს ამ წლის ძირითადი ამ ეკონომიური პოლიტიკის მხოლოთ და მხოლოთ კერძო კონკრეტულ კითხვებზე, თუ ეს ყურადღება უნდა შევაჩეროთ ხოლმე დროგამოშვებით მაინც ამ პოლიტიკის საერთო პირობების შეფასებაზე და პარტიული შეგნების, პარტიული ინტერესის და პარტიული [illegible] ამ საერთო პირობებთან შეხამებაზე? ჩემი აზრით ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის საკმაოთ შეთვისებული პარტიის ფართო წრეების მიერ, ხოლო ძველი ეკონომიური პოლიტიკის მავნებლობის შეგნებლათ ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვხედავთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლის ჩვენს და მისი მნიშვნელობის საბოლოოთ გამორკვევას.

რომ ნათელ ვყო ჩემი აზრი და პასუხი გავცე კითხვაზე იმის შესახებ თუ რა აზრით შეიძლება, ჩემი შეხედულებით, ლაპარაკი ან უნდა ხდებოდეს ეს ლაპარაკი ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის უკანა გასვლაზე, მე ნებას მივცემ თავს მოვიყვანო შედარებისათვის რუსეთ-იაპონიის ომის ერთი ეპიზოდთაგანი, რომელიც გაგვიადვილებს ჩვენ წარმოვიდგინოთ სწორი განწყობილება პოლიტიკის სხვა და სხვა სისტემის შესახებ ისეთ რევოლუციაში, როგორიც არის ჩვენი. მაგალითი, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობ, არის პორტ-არტურის აღება იაპონელ გენერალ ნოგის მიერ. უმთავრესი მომენტი, რომელიც მაინტერესებს მე ამ მაგალითში, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ციხე-სიმაგრის აღებამ გაიარა ორი სრულიად სხვა და სხვა ნაირი საფეხური. პირველი შეიცავდა დაუნდობელ შეტევათა მთელ რიგს, რომლებიც რჩებოდნენ უშედეგოთ და დაუჯდა ცნობილ იაპონელ გენერალს უამრავ მსხვერპლათ. მეორე სტადია იყო განსაკუთრებულ სიმძიმით ალყა, განსაკუთრებულ ძნელ და სისტემატიურ შემოვლა ციხის თანახმათ სამხედრო საქმის წესებისა და უნდა ითქვას კიდევაც რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ სწორეთ ასეთი გზით გადაწყდა მისი ბედ-იღბალი, თუ დავუკვირდებით ჩვენ ამ ფაქტს, ბუნებრივია, დადგება კითხვა: თუ რა აზრით შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენ შეცდომათ იაპონიის გენერლის პირველი ხერხი პორტ-არტურის ასაღებად გამოყენებული? იყო თუ არა შეცდომა პირდაპირ ბრძოლით შეტევა ციხის წინააღმდეგ? და თუ ის შეცდომა იყო, უნდა გამოვარკვიოთ, რა პირობებში უნდა ვილაპარაკოთ იაპონიის არმიის ამ შეცდომებზე, რომ ჩვენ შევიწყოთ თავის მიზნების გამარჯვებისათვის და რამდენად იყო საჭირო ამ შეცდომის შეგნება, მისი შესწორება?

რასაკვირველია, პირველი შეხედვით ძალიან მარტივად შეიძლება ვუპასუხოთ ამ კითხვაზე. თუ პორტ-არტურზე უშუალო შეტევაზე გადასვლის მთელმა რიგმა უშედეგოთ ჩაიარა—ხოლო ფაქტია, რომ ეს შეტევა მართლაც უშედეგოთ დარჩა—თუ შეტევებმა უამრავი მსხვერპლი დასტოვეს ციხის მიდამოებში—და ესეც ისევე მართლა ასე მოხდა—აქედან ცხადია, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას რომ უშუალო შეტევა ციხეზე იყო შეცდომა. მაგრამ, მეორე მხრით, ცხადია ისიც, რომ ამ ეთი კითხვის გადაწყვეტის დროს, როდესაც საქმე გვაქვს ბევრ წინდაწინ გაუთვალისწინებელ პირობებთან, ძნელია, თუ არ არის სათანადო გამოცდილება, გამოარკვიო აბსოლიუტიური ან და თუ გინდ დაახლოვებითი სიზუსტით, როგორი ხერხი უნდა იხმარო მტრის პოზიციის ასაღებად. შეუძლებელია იმის გამორკვევა, პრაქტიკაზე გამოუცდელად იმისა, თუ რა ძალას წარმოადგენს ციხე, როგორია სიმტკიცე მისი გამაგრებული ადგილების ან მდგომარეობა მისი გარნიზონის და ა. შ. უმისოდ გამორკვევა ციხის ასაღებად გამოსადეგი ხერხის შეუძლებელი იყო თვით ერთი საუკეთესო სარდალთაგანისათვისაც, როგორიც იყო, ეჭვს გარეშე, გენერალი ნოგი. მეორე მხრით, როგორც მიზანი, ისე პირობები ომის გამარჯვებით დათავებისა თხოულობდნენ ამ ამოცანის შესაძლებელ გადაჭრის ყველაზე უფრო სწრაფ საშუალებას. იმავე დროს დიდათ სარწმუნო იყო, რომ თვით უამრავი მსხვერპლიც კი, თუ ეს საჭირო შეიქნებოდა ციხე-სიმაგრის უშუალო შეტევით ასაღებად, ზღვრად ანაზღაურებული იქნებოდა. ეს გარემოება ხელს გაუხსნიდა იაპონიის არმიას სხვა ფრონტზე გადასასვლელად და იქ საომრად, ე. ი. გადასწყვეტდნენ ერთ უმთავრეს ამოცანას იმ მომენტამდე, სანამ მტერი ე. ი. რუსეთის არმია, მოასწრებდა გადაესროლა თავის დიდი ძალები სამხედრო ოპერაციების შორეულ თეატრზე, დაერაზმა ისინი უკეთესათ, და შეიძლება შეექმნა ისინი იაპონიის არმიაზე უფრო ძლიერი.

თუ გავითვალისწინებთ სამხედრო ოპერაციების საერთო განვითარებას და იმ პირობებს, რომლებშიაც იბრძოდა იაპონიის არმია, ჩვენ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ შეტევა პორტ-არტურზე წარმოადგენდა არა მარტო უდიდეს გმირობას არმიისას, რომელმაც შესძლო გაეღო უამრავი მსხვერპლი, არამედ ეს იყო ის ერთად-ერთი შესაძლებლობა მაშინდელ პირობებში, ე. ი. ოპერაციების დასაწყისში, რაც აუცილებელს და საქმისათვის გამოსადეგს წარმოადგენდა, იმიტომ, რომ ძალების უშისჯამად ციხე-სიმაგრის შეტევით ასაღებად, მოწინააღმდეგის ძალის გამოუცდელად, შეცდომა იქნებოდა უფრო ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის დაწყება, რომელიც თავის ხანგრძლივობის გამო საშიშროებას წარმოადგენდა. საერთო ოპერაციის თვალსაზრისით ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ მისი პირველი ნაწილი, რომელიც მდგომარეობდა უშუალო თავდასხმაში, როგორც აუცილებელი, საჭირო ნაწილი, როგორც გამოსადეგი ნაწილი, რადგან, ვიმეორებ, ამ ცდის გარეშე იაპონიის არმია ვერ გაიცნობდა საკმაოთ ბრძოლის კონკრეტულ პირობებს. როგორი იყო მდგომარეობა ამ არმიისა, როდესაც ის ათავებდა მტრის სიმაგრის წინააღმდეგ უშუალო შეტევის ხანას? ბევრი ათასი [illegible] დარჩა თავის ასპარეზზე დარჩა [illegible] და ათი ათასები მსხვერპლი კიდევ შეიწირება ათასები, ხოლო ციხეს კი ვერ ავიღებთ—ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც არმიის ნაწილი ან მისი უმეტესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა თავი მივანებოთ უშუალო შეტევის გზას და გადასულიყვნენ თანდათანი, სისტემატიურ ალყის შემორტყმაზე. თუ დაშვებული იყო ტაქტიკური შეცდომა, უნდა გამოსწორებულიყო ის და ყოველივე დანარჩენი, რაც მასთან იყო დაკავშირებული, უნდა აღიარებულ იქმნას დამაბრკოლებლად და როგორც ასეთი, უკუგდებული; უნდა დათავდეს უშუალო შეტევა და დაიწყოს მეთოდიური შემოვლა და ამ მიზნით ჯარების ახალნაირი განაწილება, ტექნიკური მატერიალური ნაწილების და რასაკვირველია, ცალკე გამოსვლების და მოქმედების სხვაგვარად მოწყობა იმისა, რაც იყო წინათ, საჭიროა იმის გადაჭრით, მკვეთრი და ნათლად გამორკვევა შეცდომაც, რომ არ დააბრკოლდეს ახალი სტრატეგიის და ტაქტიკის განვითარება, განვითარება ახალი ოპერაციების, რომლებსაც უნდა წარმოებდათ სხვანაირათ და რომლებიც, როგორც ვიცით დღეს, დამთავრდნენ სრული გამარჯვებით, თუმცა ეს გამარჯვება უფრო ბევრით და გვიან, ვინემ მოსალოდნელი იყო.

ჩემის აზრით, ეს მაგალითი გამოდგება იმის ახსნისათვის, თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი რევოლუცია თავის სოციალისტური ამოცანების გადაწყვეტის სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში. ორი ხანა ამ ხაზით ნათლად აღინიშნება. ერთი არის პერიოდი 1918 წლიდან 1921 მდე, მეორე 1921 წლის გაზაფხულიდან დაწყებული.

თუ თქვენ გაიხსენებთ იმ ოფიციალურ და არა ოფიციალურ განცხადებებს, რომლებითაც პარტია გამოვიდა 1917 წლის ბოლოდან 1918-ის დასაწყისამდე, თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ მაშინაც გვქონდა წარმოდგენილი, რომ რევოლუციის განვითარება, განვითარება ბრძოლისა, შეიძლება იწარმოოს როგორც შედარებით მოკლე, ისე ძალიან გრძელი და ძნელი გზით. მაგრამ შესაძლებელი განვითარების შეფასების დროს ჩვენ უმეტეს ნაწილად გამოვდიოდით—მე არც მახსოვს რამე გამონაკლისი აქედან—იმ წარმოდგენიდან, შეიძლება, არა ყოველთვის აშკარათ გამოთქმულ, მაგრამ მუდამ თავისთავად ნაგულისხმევი წარმოდგენიდან, რომ გადავალთ უშუალოდ სოციალისტურ აღმშენებლობაზე. მე სპეციალურად გადავიკითხე რაც იწერებოდა მაგალითად 1918 წლის მარტში და აპრილში ჩვენი მუშაობის მიზნების შესახებ სოციალისტური აღმშენებლობის სფეროში, და დავრწმუნდი რომ ასე გვესმოდა ჩვენ მაშინ მდგომარეობა.

ეს ის დრო იყო, როდესაც უკვე გადაწყდა იმ ერთი არსებითი, პოლიტიკური მხრით ძალაუფლებურათ წინასწარი, საკითხი, როგორიც იყო ძალაუფლების ხელში აღება, საბჭოთა სისტემის სახით მუშების შექმნა წინანდელი ბურჟუაზიულ—პარლამენტარულის მაგივრათ და შემდეგ იმპერიალისტური ომის ცეცხლიდან გამოსვლა, ხოლო ეს გამოსვლა, როგორც ცნობილია უნდა მომხდარიყო ფრიად მძიმე მსხვერპლის გაღებით, წარმოუდგენლად დამამცირებელი თითქმის გაუსაძლისი პირობების შემქმნელი ბრესტის ზავით. ამ ზავის ხელის მოწერის შემდეგი ხანა 1918 წლის მარტიდან დაწყებული ზაფხულამდე იყო ისეთი, როდესაც სამხედრო ამოცანები თითქოს გადაწყდნენ. შემდეგომმა ამბებმა დაგვანახვა რომ ეს ასე არ იყო, რომ 1918

კაპიტალიზმის სამეფოში

ჰოლანდია

მსოფლიო უმუშევრობა

ნაუენი, 25 ნოემბერი (რადიო). მემინდვრეების და მოლაპარაკეთა საერთაშორისო [illegible] ბიუროს კომიტეტმა სიერთო კრებაზე [illegible], სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მოხსენების შემდეგ უმუშევართა რიცხვის თანდათან ზრდის, გადასახადების გადიდების და ცხოვრების სიძვირის შესახებ, დაადგინა შეადგინოს საერთაშორისო კომიტეტი უმუშევართა ხელშეკრულების [illegible], რომელსაც დაუმატებს მთელი მსოფლიო—როგორც განაწილებული ისე დამარცხებული ქვეყნები და განსაკუთრებით კი მუშათა კლასი, კატასტროფიულ ეკონომიკურ მდგომარეობაში. ამ დროს ბრიტანეთის მუშათა კავშირმა გამოიქვეყნა განსაკუთრებული მოწოდება, რომელიც იწვევს გერმანიის კონტრიბუციის გადასახადების მოთხოვნილებას, ამავე დროს უცხო ქვეყნის ტერიტორიულ მოხედვებს თავისუფალი ტერიტორიების ოკუპაციის მოსპობას და მოშორებულ ინგლისის ჯარების ოკუპაციის ... [illegible].

საფრანგეთი

კიდევ ერთი კონფერენცია

ნაუენი. 25 ნოემბერი, (რადიო). პარიზიდან იტყობინებიან, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე გადაწყვეტილია ახლო მომავალში მოიწვიონ საფინანსო კონფერენცია ფინანსიურ-ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტათ, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი და მნიშვნელობა. ამავე კონფერენციამ უნდა იქონიოს მსჯელობა გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობაზე და გერმანიის კონტრიბუციაზე. ეს კონფერენცია მოწვეული იქნება ამ ზამთარს, თუ ვაშინგტონის კონფერენციას ექნება დადებითი შედეგი.

ირლანდია

ირლანდიის მოთხოვნილება

ლონდონი, 24 ნოემბერი (რადიო). საბოლოოდ გამოირკვა ირლანდიის მოთხოვნილებები. ინგლისთან მეგობრული დამოკიდებულების და მხოლოდ ძირითად კარონის მიხედვით ირლანდიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. შემდეგ სინფეინელები მოითხოვენ ულსტერის და ირლანდიის მთლიან საერთაშორისო გარანტიას. ირლანდია მოითხოვს აგრეთვე გადაეცეს მას ის ტერიტორიები, რომლებიც ეხლა ულსტერს ეკუთვნის.

ლონდონ ხესილმა მიაწოდა გაზეთი რეპორტაჟი ირლანდიის მოთხოვნილებები. ინგლისური გაზეთების აზრით ირლანდიის საკითხი დღითი დღე მწვავდება, ძით უმეტეს რომ ულსტერი დაადგა შეურიგებელ ნიადაგზე.

ქრონიკა

◆ **ხაზინის ქვეგანყოფილების გაუქმება.** ქალაქის რევკომის დადგენილებით კომუნალური განყოფილების სახაზინო ქვეგანყოფილება გაუქმებულია და მისი მთელი შტატი ა. წ. 23 ნოემბრიდან ითვლება დათხოვნილად.

◆ **ფქვილი მარსელიდან.** მარსელიდან ბათუმში მოვიდა გემი „დიმიტრი ინგლისელი", რომელსაც მოაქვს 1,400 ტონი ფქვილი.

◆ **ხელით ახალი უბნების სამეურნეო [illegible] [illegible] [illegible].** გაერთიანებულ სავაჭრო ბაქოს მეთამბაქოეობის გამგეობამ სამეურნეო სამუშაოებისათვის [illegible] განყოფილებას 20,000 ფუთი [illegible] თამბაქო გადასცა.

— **ნავთის გატანა.** ცნობა ჩვენი ნავთის საზღვარ გარეშე გატანის, სტამბოლის საკონსულოში მიღებულია ის გაიზიდება ინგლისში და იტალიაში. გემები უკვე მოვიდა ბათუმში და იწყება ნავთის გადატანა.

— **ს. მ. უ. ს. საბჭოს განყოფილების მაღაზიები.** ნოემბრის 23-დან ყოფ. ადელხანოვის მაღაზიაში, [illegible] [illegible] გაიხსნა ახალი შეკეთებულ ფეხსაცმლების საბითუმო და ნაწილობრივი გაყიდვა, აგრეთვე სატყეო ხელოსნობისა და [illegible] საქართველოს ს. მ. უ. ს. საწყობის [illegible] სახელოსნოების ნაწარმოები.

◆ **ყაჩაღების შეპყრობა.** მილიციის მთავარმა სამმართველომ მიიღო ცნობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისგან, რომ გორის მაზრის [illegible], სადაც ყაჩაღთა ბრბოებს [illegible] მოსპობით, 17 ნოემბერს მილიციამ მოულოდნელად შეიპყრო [illegible] ყაჩაღების და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რომელიც გადაეცა საგანგებო კომისიას.

◆ **[illegible] [illegible] კომისარიატის კრება.** 27 ნოემბრის დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ბინაში დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის კომისარიატის კრება. დღის წესრიგში შედის კომისარიატის ბიუროს არჩევნები და სხვა საკითხები. ყველა წევრის და კანდიდატებს ეთხოვებათ უეჭველად დაესწრონ კრებას.

კომისარიატის ბიურო.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ქ. თბილისის ბიუჯეტი

18 ნოემბერს მომხდარ ქალაქის ეკონომიურ თათბირის, კომპარტიის თ. კ., ს. პ. კ. ს., ს. მ. უ. ა. ქალაქის რევკომის და მის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების წარმომადგენელთა სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა თბილისის ქალაქის რევკომის კოლეგიის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი, იარჩევდა ქ. თბილისის ბიუჯეტის შექმნის საკითხი შემოსავლის გასაძლიერებლათ და ქალაქის ხარჯების დასაფარავათ. თათბირის მსვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ [illegible], ქალაქის რევკომის საქმეთა მართველმა გაათვალისწინა ქალაქის საკუთრებათა სხვა და სხვა გადასახადების შესახებ, ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის ყველაზე უფრო შემოსავლიან წყაროს წარმოადგენს ქალაქის შენობების [illegible] ქირა, მაგრამ [illegible] [illegible] საკუთრების [illegible] [illegible], ამიტომ ამ მოსავალში [illegible] [illegible] [illegible] სარგებლიანი.

მომხსენებლის აზრით უნდა არჩეულ იქმნას საბიუჯეტო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ დაამუშავებს ეს საკითხი 1922 წლისათვის. ჯერ კი საჭიროა გატარდეს ცხოვრებაში ის გადასახადები, რომლებიც ცხადლივ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], როგორც არის [illegible] [illegible] გადასახადი, [illegible] [illegible], გადასახადი [illegible], ფეხზე მოვაჭრეთა გადასახადი, ქალაქის ბაზარზე მოვაჭრეთა გადასახადი, გადასახადი [illegible] და გართობის, თეატრის გადასახადი, ხატის [illegible] გადასახადი, საკომისიო [illegible] და პროცენტული გამოანგარიშება [illegible] თვით გადასახადის [illegible]. საქირაო შემოსავლის [illegible] ხარჯთაღრიცხვის წლის [illegible] [illegible] [illegible] პროექტი. რაც შეეხება ფუნქციონირ და სავაჭრო გადასახადი, იგი უნდა შემოღებულ იქნას 1922 წელში და ამ საკითხის სასწრაფოთ გამომუშავება უნდა დაევალოს ამავე კომისიას, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ბიუჯეტის საკითხი. სახელმძღვანელოთ [illegible] [illegible] თათბირის დადგენილება დაბეჭდოს და გატაროს 1921 წლის მარტიდან ხელმეორეთ, გადასახადები ქალაქის სასარგებლოთ შემდეგი რაოდენობით ახალ [illegible] წლისთვის:

სტრამბაიოს გადასახადი, დუქნებიდან და ტრაქტირებიდან 6 [illegible] თითოზე 6, 2) სავაჭროებისა, სახლებისა, ლუკრით—[illegible] [illegible] გასატრონომიულ მაღაზიებისა—ამი მილიონი მანეთი თითოსაგან 3) წვრილი სასადილოებიდან 500,000 მან, 4) ბაზარზე მოვაჭრეთაგან მარკის გადასახადი 5,000 მანეთი დღეში 1 არშინ ადგილზე (მოიდნის), 5) ცხენების გადასახადი 300,000 მანეთი თითოეულ ცხენზე 6) ქალაქში ფეხზე მოვაჭრეზე: ა) ხელის „ფანჯარაზე" 300 000 თვითეულზე, ბ) კალათზე 150.000 მანეთი. გ) თაბახზე 50,000 მან. ძველი ტანისამოსით და ნივთებით მოვაჭრეთაგან 600,000 მან., ე) გალანტერეით მოვაჭრეთაგან (კორობეინიკის) 300,000 მან., ვ) ყვავილებით მოვაჭრეთაგან 150,000 მან., ზ) ფეხსაცმლების წმენდავთან 150,000 მან.

სანოტარო გადასახადის საკითხი დროებით დატოვებულია ღიათ. ნოტარიულ შემოსავლის შესახებ დაწესდეს შემდეგი გადასახადი: აქტი, რომელიც შეიცავს 10 მილიონ მანეთს გადასახდელს ნახევარი პროც., 10 მილიონიდან 25 მილიონ მანეთამდის—1 ნახევარი პროც., 25 მილიონ მანეთიდან 50 მილიონამდის 1 ნახევარი პროც. და 50 მილიონ მანეთ ზევით 2 პროც.

შენიშვნა: აქტები და ხელშეკრულებანი, რომლებიც შეეხებიან საბინაო და პირველი საჭიროების საკუთრებას, განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან, ხოლო იმ აქტებზე, რომელიც შეეხება უძრავ ქონებას, დაწესდეს შემდეგი გადასახადი: აქტი, რომელიც შეიცავს 10 მილიონ მანეთს—1 პროც., 10 დან 20 მილიონ მანეთამდე—2 პროც. 20 დან 30 მილიონამდე—3 პროც., 30-დან—40 მილიონამდე—4 პროც. და 40 მილიონ მანეთ ზევით—5 პროც. საკომისიო მაღაზიებზე, სადაც წარმოება აუქციონური საჯარო გაყიდვა, დაწესდეს გადასახადი 4 პროც. იმ ჯამიდან რომელსაც ღებულობს აუქციონიდან. ლომბარდის საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინაშე აღიძრას შუამდგომლობა საკუთარი [illegible] [illegible] და შემოსავლის კვალობაზე გადასახადიდან ქალაქის სასარგებლოდ 20 პროც. გადადების შესახებ და ამას გარდა ქალაქის სასარგებლოდ დამატებითი გადასახადი 10 პროც. დაწესების შესახებ. ამორჩეული იქნას ბიუჯეტის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქალაქის რევკომის საქმეთა მართველი დ. მდივანი, კომუნალური მეურნეობის მმართველობის განყოფილების გამგე მ. ბასილია და ქ. რევკომის ბუღალტერი ამხ. [illegible], რომელ კომისიასაც მიენდო სისწრაფით დაამუშაოს საფუძველი საქმისა და შეადგინოს ნორმები გადასახადებისა 1922 წლისთვის, აგრეთვე შეადგინოს ქალაქის 1922 წლის ხარჯთაღრიცხვა. კომისიას მიეცა უფლება მოიწვიოს ხოლმე მცოდნე პირები. ამ დადგენილების სასწრაფოთ ცხოვრებაში გატარება მინდობილი აქვს ამავე კომისიას.

კოოპერატიული ბირჟა.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის თანხმობით კოოპერატიულმა თათბირმა, ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარმა, დაადგინა დაარსებულ იქნას ქ. ბათუმში, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის ბათუმის განყოფილებასთან, კოოპერაციის ბირჟა, რომლის დროებითი დებულება ამავე თათბირმა დაამტკიცა ა. წ. 22 ნოემბერს. თანახმად ამ დებულებისა ბირჟის საბჭო თავის 3 [illegible] გამოაქვეყნებს ხოლმე საქონლის და ფულის ბაზრის მდგომარეობას ბათუმში.

კოოპერატიული ბირჟის დროებითი დებულება.

1) კოოპერატიული ორგანიზაციების და საბჭოთა დაწესებულებების სავაჭრო ოპერაციების გაუმჯობესების მიზნით, როგორიცაა კონკურენციის აცილება ბაზრებზე ყიდვაში და სავაჭრო მოქმედების შეთანხმება, დამყარება საუკეთესო ურთიერთ ხელსაყრელ პირობებისა სავაჭრო საქმეებში ორივე მხარისთვის, ვალუტის და ფულის გაცვლის ოპერაციის მოწესრიგება, რეგულირება და სწორი ინფორმაცია საქონლის და საზღვარ გარეთულ ბაზრების მდგომარეობის შესახებ, ქ. ბათუმში გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის განყოფილებასთან იხსნება კოოპერატიული ბირჟა.

2) ბირჟის ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება კოოპერატიულ ბირჟის საბჭო, რომელიც არის პასუხისმგებელი თავის მოქმედებაში. საბჭო შედგება შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან: ცენტრალური კავშირის, ცეკავშირის, აზკავშირის, სომხეთის კოოპერატივის, ამიერკავკასიის ცენტრალური—სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების, რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ამიერ კავკასიის წარმომადგენლის და გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლისაგან.

შენიშვნა: 1) საბჭოთა ზემოხსენებული მოქმედება განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც შემუშავდა ბირჟის საბჭომ და დაამტკიცა კოოპერატივთა თათბირმა, შემდგარმა ზემო ნაჩვენებ ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან.

შენიშვნა 2: კოოპერატიულ თათბირის გადაწყვეტილებით ბირჟის საბჭო შეიძლება შევსებულ იქმნას კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

3) პირველ მუხლში ნაჩვენებ მიზნების მისაღწევად, ბირჟის საბჭო ა) ყოველ დღიურად აწყობს ბირჟის კრებას, მიმდინარე სავაჭრო საქმეთა შესრულების პირობათა გამოსარკვევად; ბ) უშვებს ყოველ დღიურ ბიულეტენს საქონლის და ფულის ბაზრების მდგომარეობის შესახებ, როგორც ბათუმის, აგრეთვე საზღვარ-გარეთისას; გ) აწარმოებს იმ სავაჭრო საქმეთა რეგისტრაციას, რომელიც იდებოდა როგორც ბირჟაზე, აგრეთვე მის გარეშე, თუ მხარე მიეკუთვნება კოოპერატიულ ორგანიზაციას, ან საბჭოთა დაწესებულებას; დ) იწვევს ხან და ხან თათბირს ბათუმის და საგარეო ბაზრებზე ნორმალურ და წარმატებით მოქმედების საერთო პირობების გასარკვევად.

შენიშვნა 1. ოფიციალურ ცნობებს ეძლევა ბიულეტენში, რომლის სისწორის და სიზუსტისათვის პასუხს აგებს ბირჟის საბჭო.

შენიშვნა 2. ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლობა ბათუმში, რომელნიც შედიან ბირჟის შემადგენლობაში, ვალდებული არიან რეგულიარულად აცნობონ ბირჟის საბჭოს ყველა მათ მიერ მოწყობილ სავაჭრო საქმეთა შესახებ.

4. ზემო აღნიშნულ მოვალეობის შესასრულებლად ბირჟის საბჭო იწვევს საჭირო თანამშრომლებს საბჭოს მიერ დამტკიცებულ ხარჯთ აღრიცხვასთან შეთანხმებით.

5. გასავალი, რომელიც დაკავშირებულია ბირჟის მოქმედებასთან, დაიფარება თანახმად საბჭოს მიერ დამტკიცებულ ხარჯთ აღრიცხვისა იმ ორგანიზაციების და მათი დაწესებულების ანგარიშზე, რომლებიც შედიან ბირჟის შემადგენლობაში, აგრეთვე იმ შემოსავლის ანგარიშზე, რომელიც დაწესებული იქნება საბირჟო ოპერაციაზე.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 1 რაიკომიდან დათხოვნილ წევრთა სია.

1. რუდაკოვი თევდორე დავითის ძე—ქურდობისათვის. 2. კაზაროვი ალექსანდრე ტრიფონის ძე—„[illegible]“. 3. ლეონიძე ბორის ვასილის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის. 4. [illegible] ნიკოლოზ დავითის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის. 5. სინაშვილი გრიგოლ ივანეს ძე—სპეკულიაციისათვის. 6. ისაშვილი [illegible] ალექსანდრეს ძე, 7. [illegible] ტოძე ვარლამ გრიგორის ძე, 8. ზაქაროვი გრიგოლ თევდორეს ძე, 9. [illegible] პეტრე [illegible] ძე, 10. ახალციხოვი პლატონი, 11. კოლხიშვილი [illegible] ალექსის ძე (კანდიდატი), 12. [illegible] ძე (კანდიდატი), 13. სოლომონი ალექსი სიმონის ძე (კანდიდატი), 14. [illegible] გრიგოლ დიონისეს ძე (კანდიდატი) პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის. 15. [illegible]—პროლეტარულ სულის უქონლობის გამო. 16. [illegible] დანიელის ძე, 17. დვალიშვილი მიხეილ თევდორეს ძე, 18. ბაქრაშვილი დავით ზურაბის ძე, 19. ლისიცკი პროხორ ალექსანდრეს ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის. 20. სოხაშვილი გიორგი დავითის ძე—თვითმომარაგებისთვის ბიუროკრატიზმისთვის და ბოროტმოქმედებისთვის. 21. გირმისაშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე, 22. ჩახლაძე სარდიონ გლახუნის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის. 23. ხოდია გრიგოლ დიმიტრის ძე—პარტიულ სტაჟის ყალბი გადიდებისთვის. 24. კოპაძე ეფრემ კლიმენტის ძე (კანდიდატი), 25. ჩარაგოვი ამირან ნიკოლოზის ძე (კანდიდატი), 26. კუზნეცოვი თევდორე ფილიპეს ძე (კანდიდატი) — პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის. 27. [illegible] ალექსანდრე იაკობის ძე—„შკურნიკობისთვის“. 28. რაზუმოვსკი ფილიპე პეტრეს ძე—პროლეტარულ სულის უქონლობისთვის. 29. პტიკა პანტელეიმონ რომანის ძე, 30. ქავთარაძე ელიზბარ გიორგის ძე—ბოროტმოქმედებისთვის. 31. [illegible] სტეფანე [illegible] ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის. 32. [illegible] კონსტანტინე [illegible] ძე—[illegible]. 33. [illegible] სტეფანე ალექსის ძე, 34. ჯალაღანია პეტრე ალექსის ძე—[illegible]. 35. [illegible] ნიკიტის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის. 36. კრასნოვი თევდორე სვიმონის ძე—თვითმომარაგებისთვის. 37. კაზაკოვი ივანე [illegible] ძე, 38. დოლიძე ნიკოლოზ [illegible]—ბნელ წარსულისთვის. 39. კანდელაკი [illegible]—[illegible] და [illegible]. 40. [illegible] დავით პეტრეს ძე—მკვლელობისთვის. 41. თარხნიშვილი გიორგი—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის. 42. [illegible] ალექსანდრე [illegible] ძე—[illegible]. 43. მამიევი გიორგი ალექსის ძე—სამსახურში ბოროტმოქმედებისთვის. 44. [illegible] გიორგის ძე, 45. [illegible] პეტრე [illegible] ძე, 46. გურგენიძე იუზეფ მიხეილის ძე (კანდიდატი)—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის. 47. [illegible] ნიკოლოზის ძე, 48. [illegible] გრიგოლ [illegible] ძე, 49. [illegible] გრიგორის ძე—[illegible] და [illegible]. 50. [illegible] ედუარდის ძე—სპეკულიაციისთვის. 51. [illegible] ძე—ლოთობისთვის. 52. [illegible] სოლომონ [illegible] ძე სპეკულიაციისთვის. 53. ფინკელი [illegible] სიმონის ძე—მეძავობისთვის. 54. [illegible] ვლადიმერის ძე—ბნელი წარსულისთვის. 55. [illegible]—მექრთამეობისთვის. 56. [illegible] მიხეილ [illegible] ძე—ბნელი წარსულისთვის. 57. ალექსანდრე [illegible] კაზიმირის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის. 58. ყიფიანი ნიკოლოზ მიხეილის ძე—ბნელი წარსულისთვის, 59. მანასიანცი სავველი ავაკიმის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის, 60. თევზაძე ნიკოლოზ გიორგის ძე—ბნელი წარსულისთვის და სპეკულიაციისთვის, 61. გზირიშვილი გიორგი—საკუთარ სურვილით, 62. ჯაფარიძე კალისტრატე—ბნელი წარსულისთვის და ინტრიგანობისთვის, 63. სიმონოვი დიმიტრი ივანეს ძე, 64. [illegible] იოსებ [illegible] ძე—ბნელ წარსულისთვის, 65. [illegible] პეტრე [illegible] ძე—სამსახურში [illegible].

დატოვებულნი გამოსარკვევამდე:

1. [illegible] პავლე, 2. [illegible] ნიკოლოზის ძე, 3. ლომსაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 4. [illegible] ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 5. ჩხეიძე კონსტანტინე [illegible], 6. [illegible] ნიკოლოზ [illegible] ძე, 7. [illegible] ნიკოლოზ [illegible] ძე, 8. [illegible] გიორგი, 9. [illegible] ძე, 10. [illegible] ძე—[illegible].

დატოვებულნი თავის წევრებად გაფრთხილებით:

1. ბიბილეიშვილი ივანე, 2. ჩოლოკავა მიხეილ ივანეს ძე, 3. [illegible] მელიტონ დიმიტრის ძე—[illegible] პარტიულ წიგნაკში ჩაწერით, 4. [illegible]—გაფრთხილებით, [illegible] 1917 წლიდან სტაჟით, 5. [illegible] კონსტანტინეს ძე—[illegible] გაფრთხილებით, 6. [illegible] ნიკოლოზის ძე, 7. [illegible]—[illegible] გაფრთხილებით 8. [illegible], 9. [illegible], 10. [illegible] სტეფანეს ძე, 11. [illegible] გაბრიელ პეტრეს ძე, 12. [illegible] ნიკოლოზის ძე—[illegible] ჩაწერით. 13. [illegible] მატვეის ძე, 14. [illegible] პეტრე [illegible] ძე, 15. [illegible] ნიკოლოზის ძე, 16. [illegible] ალექსანდრე გრიგოლის ძე, 17. [illegible] ალექსანდრე სიმონის ძე, 18. [illegible] ახვრია, 19. [illegible] ვლადიმერ ფილიპეს ძე, 20. [illegible] ალექსანდრე [illegible] ძე. 21. [illegible] გიორგი [illegible] ძე.

გადაყვანილნი წევრობიდან კანდიდატებად:

1. [illegible] ილია, 2. [illegible] ტარასი, 3. [illegible] კონსტანტინე [illegible] ძე, 4. [illegible] ივანეს ძე, 5. [illegible] ძე—[illegible] 19 ნოემბ. ა. წ. 6. [illegible] ვლადიმერ [illegible] ძე, 7. [illegible] ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, 8 [illegible] ვლადიმერ ნიკოლოზის ძე—[illegible] 19 ნოემბ. ა. წ.

კომისიის თავმჯდომარე ჩიკარევი.

მდივანი [illegible].

4-თე რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება.

ორშაბათს 23 ნოემბერს მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბის დარბაზში, ვერის დაღმართთან, შესდგა მე 4-ე რაიონის კომპარტიის წევრთა და კანდიდატების მორიგი საერთო კრება.

აღსანიშნავი არის, რომ ეს ერთი ხანია, როგორც სხვა რაიონებში ისე აქაც ჩვენი ამხანაგები კრებებს მრავლად ესწრებიან, დარბაზი მუდამ გამოჭედილი არის ხოლმე პარტიის წევრ.—კანდიდატებით. ეს გარემოება უნდა მიეწეროს განსაკუთრებით ჩატარებულ წმენდა—შემოწმებას პარტიისას, რომელმაც ძლიერი ჯლუგუნი წაჰკრა პარტიაში მყოფ ბევრ პასსიურ, უმოქმედო ელემენტებს, გამოაფხიზლა; დაინტერესა, მოქმედებაში მოიყვანა ისინი.—ეს სხვათაშორის ერთი დიდი შედეგთაგანი პარტიის წმინდა—შემოწმებისა.

დარბაზი დღესაც გამოჭედილი იყო ამხანაგებით.

კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. კ. [illegible].

დღის წესრიგში იდგა სამი კითხვა:

1. ამიერ-კავკასიის ფედერაცია.
2. კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება [illegible] კოოპერაციისადმი.
3. თბილისის საბჭოს არჩევნები ახლო მომავალში.

პირველ კითხვაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. შალვა ელიავამ. [illegible] ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების [illegible] და პოლიტიკური [illegible]. საკითხი, ამხანაგებო, ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების [illegible] შესახებ,—[illegible] დაყენებული პრაქტიკულად, თუ [illegible] და გარეშე პირობები [illegible] ცხოვრებაში, [illegible]; თეორიულად—კი, ჩვენთვის—კომუნისტებისთვის სადაო აქ არაფერია.

დღეს კითხვა სდგას ამგვარად: [illegible] არის თუ არა ჩვენთვის, [illegible] არის თუ არა საჭირო ფედერატიულად გაერთიანება ამიერ-კავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების?

ნაწილობრივად, ამხანაგებო, [illegible] გაერთიანება უკვე მოხდა ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში,—ერთი უმთავრესი სახელმწიფოს მამოძრავებელი ძარღვთაგანი,—როგორიც არის რკინის გზა, გაერთიანებულია. ეს [illegible] ცხოვრებამ გახადა აუცილებელი. არის მთელი რიგი დარგებისა, რომელიც [illegible] გაერთიანებას. აქ არის [illegible] კრებას [illegible], ასეთი არიან სამხედრო საქმე, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, [illegible] ბრძოლა კონტრ-რევოლ. და სხვ.

ჩვენი პარტია ერთ ხმოვნად გამოსთქვამს ამ ფედერაციის საჭიროების სურვილს; ასეთი გაერთიანებით ჩვენ შევძლებთ მტრების ავაზაკური განზრახვები ძირშივე ჩავკლათ და ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდეთ.

მოხსენების დასასრულ მიღებული იქნა ერთხმათ თბილისის საქალაქო პარტიულ კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ამიერ-კავკასიის ფედერაციას და მოითხოვს მის საქმიანად ცხოვრებაში გატარებას.

მეორე კითხვაზე მოკლე მოხსენება გააკეთა კოოპკავშირის წარმომადგენელმა ამხ. [illegible], რომელმაც [illegible] კოოპერაციის [illegible] პარტიაში ამ [illegible], ხოლო მისი დიადი მნიშვნელობა და საქმიანობა.

[illegible] კომუნისტურ პარტიის [illegible] ყოველი [illegible].

მესამე კითხვაზე მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. შ. [illegible], რომელმაც [illegible] საბჭოს [illegible], და ჩვენი [illegible], რომ [illegible] პარტიის [illegible] საქმიანობაზე და მოუწოდა პარტიის წევრებს, რომ [illegible] მთელი თავიანთი ენერგია ამ კამპანიის კარგად ჩასატარებლად.

ხევსური.

წარმოებასა და პროფკავშირებში

პროფკავშირების კულტურული განყოფილება.

პროფკავშირების კულტ. განყოფილების პლენუმის სხდომაზე ახალი პოლიტიკის კულტურულ მუშაობაში და კლუბების საქმის ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible].

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელოვანი საკითხია კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში წამოიდგენს კლუბების საკითხი. კლუბების ყველა საქმეები უნდა ჩამოერთვას პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოს [illegible] საქართველოს პ. კ. ს. კულტურულ განყოფილების საერთო [illegible] კლუბების გამოცხადება [illegible] წარმოებების [illegible] კლუბების გზით.

კულტურულ განყოფილებათა პლენუმმა [illegible]: კულტურულ განყოფილებათა [illegible], [illegible] კლუბების [illegible], რომელიც [illegible] პროფკავშირის [illegible] რაიონის კლუბებს, სადაც [illegible] კლუბებისა. ს. პ. კ. ს. კულტ. განყოფილებასთან [illegible] კულტ. გან-

---

წლის მარტში, იმპერიალისტური ომის შემდეგ ჩვენ ვიწყებდით [illegible], რომელიც 1918 წლის ზაფხულიდან დაწყებული [illegible] სულ უფრო და უფრო [illegible]. მაგ., 1918 წლის მარტში, როცა [illegible] ჩვენი ორგანოების [illegible], ჩვენ [illegible] თანდათანობით გადასვლის მეთოდებს მოქმედების იმ ზომებს, როგორიც იყო ბრძოლა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისთვის ე. ი. იმისთვის, რაც ახასიათებდა უმეტეს ნაწილად რევოლუციის პირველ თვეებს ე. ი. 1917 წლის ბოლოს და 1918 დასაწყისს. იმ ხანათვე აღნიშნული იყო, რომ ჩვენი მუშაობა აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში ძალიან ჩამორჩა ჩვენ მუშაობას და ბრძოლას ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის სფეროში. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოვახდინეთ ექსპროპრიაცია უფრო მეტის, ვინემ შევძელით აღრიცხვაზე აყვანა, კონტროლი გაგვეწია, მოგვეყვანა და ა. შ. [illegible] ექსპროპრიაცია, ექსპლოატატორების ძალაუფლების [illegible] და უფრო ენერგიულად ხელი მოგვეყო ორგანიზაციისა, აღრიცხვისა და კონტროლისთვის, გაძლიერებისა ყოველდღიური, ასე ვთქვათ სამეურნეო მოღვაწეობის, უშუალო აღმშენებლობის. უკვე მაშინ საჭირო შეიქნა ჩვენთვის, უკან [illegible] მთელი რიგ საკითხებში. მაგალითად, 1918 წლის მარტში და აპრილში ჩვენ წინ წამოიჭრა გადასაწყვეტათ ისეთი ამოცანა, როგორიც იყო სპეციალისტების გასამრჯელოს გამორკვევა არა სოციალისტური წესით, არამედ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მიხედვით ე. ი. არა იმისდა მიხედვით თუ რამდენათ ძნელია და მძიმე შრომის პირობები, არამედ თუ როგორია ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულება და მოთხოვნილებები ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში. ასეთი, განსაკუთრებით მაღალი, ბურჟუაზიულად მაღალი ჯამაგირები სპეციალისტების არ შედიოდნენ პირველ ხანებში საბჭოთა მთავრობის [illegible] და არც შეესაბამებოდნენ 1917 წლის ბოლოში გამოცემულ დეკრეტების მთელ რიგს. მაგრამ 1918 წლის დასაწყისში, ჩვენმა პარტიამ საჭიროთ სცნო უკან გადადგმულიყო ამ ხაზით ნაბიჯი და დაეთმო ერთნაირი „კომპრომისი“ (მე ვხმარობ იმ სიტყვას, რომელიც ხმარებაში იყო იმ დროს), 1918 წლის აპრილის 29-ს სრულიად რუსეთის [illegible] გადაწყვეტილების თანახმად მოგვეხდინა ეს ცვლილება ჯამაგირისა და ხელფასის საერთო სისტემაში.

[illegible], სამეურნეო მუშაობის, რომელიც მაშინ წამოვაყენეთ პირველ რიგში, ჩვენ ვუყურებდით ერთი თვალსაზრისით. მაშინ განზრახული იყო უშუალოთ გადასვლა სოციალიზმზე წინასწარი პერიოდის გარეშე, ე. ი. ძველი ეკონომიკის შეგუებისა სოციალისტურ ეკონომიკასთან. ჩვენ გვეგონა, რომ სახელმწიფოებრივი წარმოებისა და განაწილების შემოღებით, ჩვენ უკვე თავისთავად გადავედით უშუალოთ წარმოებისა და განაწილების მეორე (შედარებით პირველთან) სისტემაზე. ჩვენ გვეგონა, რომ ორივე სისტემა, როგორც სახელმწიფოებრივი წარმოებისა და განაწილების, ისე კერძო საჭირო წარმოებისა და განაწილების, ასეთ ურთიერთ შორის ბრძოლის ისეთ პირობებში, რომ ჩვენ მოვაწყობთ სახელმწიფოებრივ წარმოებას და განაწილებას მოწინააღმდეგე სისტემის ხელიდან მისი თანდათანი გამოგლეჯით. ჩვენ ვამბობდით, რომ ახლა ჩვენი მიზანია არა იმდენათ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, რამდენადაც აღრიცხვა, კონტროლი, შრომის ნაყოფიერების გადიდება, დისციპლინის განმტკიცება. ამას ვამბობდით ჩვენ 1918 წლის მარტში, მაგრამ სრულებით არ ვსვამდით საკითხს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში იქნებოდა ჩვენი ეკონომიკა ბაზართან, ვაჭრობასთან. როდესაც, პოლემიკის დროს ამხანაგების ერთ ნაწილთან, რომლებიც [illegible] ხაზს, ჩვენ დავიცავით მაგალითად 1918 წლის გაზაფხულზე კითხვა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის შესახებ, ის დავიცავით არა იმ აზრით, ჩვენ უკან დავბრუნდებოდით, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისკენ, არამედ იმ აზრით, რომ ჩვენი მდგომარეობა იქნებოდა უფრო ადვილი და სოციალისტური ამოცანების გადაწყვეტაც მოხდებოდა უფრო მალე, რომ ჩვენში ყოფილიყო სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, როგორც მეურნეობის გაბატონებული სისტემა. ამ გარემოებაზე მსურს განსაკუთრებით მივაქციო თქვენი ყურადღება, იმიტომ რომ ეს მაჩვენია აუცილებელ პირობათ იმის გასაგებათ, თუ რაში მდგომარეობდა ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება და როგორ უნდა შევაფასოთ ეს უკანასკნელი.

მე მოვიყვან მაგალითს, რომელსაც კონკრეტიულად, ნათლად შეუძლია გადაგვიშალოს ის პირობები, რომლებშიაც ვითარდებოდა ჩვენი ბრძოლა. აგერ წინაზე ეს ხელში მომხვდა მოსკოვში კერძო „განცხადებათა ფურცელი“. ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის შემდეგ „განცხადებათა ფურცელმა“ მოახდინა შთაბეჭდილება რაღაც არაჩვეულებრივი, სრულიად ახლის, გასაკვირალის. მაგრამ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საერთო ხაზის თვალსაზრისით აქ არაფერი გასაკვირალი არ არის. საჭიროა გავიხსენოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პატარა, მაგრამ დამახასიათებელ მაგალითს, როგორ ვითარდებოდა ბრძოლა, როგორი იყო მისი მიზნები და საშუალებანი ჩვენ რევოლუციაში საზოგადოთ. ერთი პირველი დეკრეტთაგანი 1917 წელს იყო დეკრეტი განცხადებაზე სახელმწიფოებრივი მონოპოლიის შემოღების შესახებ. რას ნიშნავდა ეს დეკრეტი? ეს ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებით აღჭურვილი პროლეტარიატს განზრახული აქვს გადავიდეს ახალ საზოგადოებრივ—ეკონომიურ ურთიერთობაზე რაც შეიძლება თანდათანობით — კერძო ბეჭდვითი სიტყვის არა მოსპობით, არამედ სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ქვეშ მისი დაყენებით; სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის კალაპოტში მისი მოქცევით.

დეკრეტი, რომელიც აწესებდა სახელმწიფოებრივ მონოპოლიას განცხადებებზე, გულისხმობდა, რომ რჩებიან კერძო გამომცემლების გაზეთები, როგორც საერთო მოვლენა, რომ რჩება ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს კერძო განცხადებებს, რჩება მთელი რიგი კერძო დაწესებულებათა, რომელთათვის საჭიროა რეკლამები, განცხადებები. ასეთი იყო და ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო დეკრეტი კერძო განცხადებათა მონოპოლიის შესახებ. ამის მსგავსი არიან დეკრეტები ბანკების შესახებ, მაგრამ მე მათზე არ გავაგრძელებ ლაპარაკს რომ მაგალითი არ გართულდეს.

როგორი ბედი ეწია კერძო განცხადებათა შესახებ დეკრეტს, რომელიც გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების პირველ კვირეებში. მისი ბედ-იღბალი იყო ის, რომ ის სრულიად გაუქმებული შეიქნა. ახლა რომ ვიხსენებთ ბრძოლას და პირობებს, რომლებშიაც ის ვითარდებოდა მას შემდეგ, სასაცილოა დღეს რამდენად ვიყავით ჩვენ გულუბრყვილონი, რომ 1917 წლის ბოლოში შეიძლო ლაპარაკი სახელმწიფოებრივი მონოპოლიის შემოღების შესახებ კერძო განცხადებებზე. როგორი კერძო განცხადებები შეიძლება ყოფილიყო გააფთრებული ბრძოლის დროს! მტერმა ე. ი. კაპიტალისტებმა, გასცა პასუხი ამ დეკრეტს საბჭოთა მთავრობისას ბრძოლის გაძლიერებით და მის უმწვავესობამდე, ბოლომდის მიყვანით. დეკრეტი გულისხმობდა, რომ საბჭოთა მთავრობა, პროლეტარული დიქტატურა იმდენათ განმტკიცებული იყო, რომ სხვა რომელიმე ეკონომიკა არ შეიძლება ყოფილიყო, რომ მისადმი დამორჩილების აუცილებლობა იმდენათ თვალსაჩინოა, კერძო წარმოებელთა და მეპატრონეთათვის, რომ ისინი მიიღებენ ბრძოლას იმ ნიადაგზე, რომელზედაც ამ ბრძოლას ვაწყობდით ჩვენ, როგორც სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. ჩვენ გვრჩება—ვამბობდით ჩვენ—კერძო განცხადებები, გვრჩება კერძო ინიციატივა, გვრჩება ამ წარმოებათა საჭიროებისთვის საჭირო განცხადებათა თავისუფლება, ხოლო მათ ედება სახელმწიფო გადასახადი, ხდება მათი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში, თავისთავად კი კერძო განცხადებათა სისტემა არა თუ არ ირღვევა, პირიქით, მათ ეძლევათ ერთნაირი უპირატესობა, რომელიც მუდამ დაკავშირებულია რეკლამის სწორ ცენტრალიზაციასთან. სინამდვილეში კი მოხდა ისე, რომ ბრძოლა უნდა გაგვეშალა ჩვენ სრულიად სხვა ნიადაგზე. მტერმა ე. ი. კაპიტალისტთა კლასმა გვიპასუხა ჩვენ სახელმწიფოს ამ დეკრეტზე მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სრული უარყოფით, არავითარ განცხადებებზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი, რადგან ყოველივე, რაც დარჩა ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ჩვენ წყობილებაში, [illegible] ამან მთელი ძალა და ღონით დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ჩვენ, რომლებმაც წამოვაყენეთ [illegible] კაპიტალისტებს: „დაემორჩილეთ სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას, დაემორჩილეთ სახელმწიფო ძალაუფლებას და იმის მაგიერ, რომ მთლიანად მოსპოთ ძველი პირობები, რომლებიც შეეფერებოდა თქვენ ძველ ინტერესებს, ჩვეულებებს, შეხედულებებს, თქვენ მიიღებთ ყველაფერ ამის თანდათანობით გარდაქმნას სახელმწიფოებრივი მოწესრიგების საშუალებით“—ჩვენ დავაყენეთ საკითხი [illegible] ჩვენი არსებობის [illegible] შესახებ. კაპიტალისტთა კლასის მიერ მიღებული ტაქტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ გვაიძულებდა ჩვენ ბრძოლაში, დაუნდობელ და გააფთრებულ ბრძოლაში რომელიც გვაიძულებდა ჩვენ ძველ [illegible] იმისა, რისაც [illegible] განზრახული გვქონდა ჩვენ.

კერძო განცხადებათა მონოპოლიის დეკრეტის შესახებ არაფერი არ გამოვიდა—ის დარჩა უბრალო ქაღალდის ნაფლეთათ, ხოლო ცხოვრებამ, ე. ი. კაპიტალისტების მიერ წინააღმდეგობის გაწევამ აიძულა სახელმწიფო ძალაუფლება გადაეტანა ძველი ბრძოლა სხვა ნიადაგზე, რომელზედაც ჩვენ [illegible] გვებრძოლა 1917 წლის ბოლოში, არამედ [illegible] ბრძოლა კითხვის [illegible]—ყოფნა თუ არ ყოფნა, [illegible], [illegible], რომელსაც [illegible] მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო.

ეს კერძო მაგალითი განცხადებათა დეკრეტის შესახებ მოგვცემს პასუხს გამოსარკვევათ ძირითადი საკითხის, იყო თუ არა იყო შეცდომა ძველი ტაქტიკა. რასაკვირველია, როდესაც ჩვენ ვიხილავთ დღეს ამ ამბებს, ვხედავთ, რომ ეს დეკრეტი იყო ერთი გულუბრყვილობა და ერთი მხრით შეცდომა, მაგრამ იმავე დროს ამ დეკრეტში ის სიმართლე იყო, რომ პროლეტარიატი შეეცადა გადასულიყო ახალ საზოგადოებრივ წყობილებაზე [illegible], თანდათანობით, [illegible]. მტერმა კი ე. ი. [illegible] ყოველი [illegible] ჩვენ დაუნდობელ ბრძოლის [illegible] თუ რა ეს [illegible], ჩვენი მტრის [illegible], იყო სწორი. [illegible] თუ [illegible] დავინახავდით ჩვენ [illegible] ამ სფეროში [illegible], როგორც [illegible] ახალ, ჯერ კიდევ [illegible] ძალაუფლებას პროლეტარიატისას „უკაცრავად, ბატონებო—გვეუბნებოდა ჩვენ ბურჟუაზია—ჩვენ დავიწყებთ ლაპარაკს თქვენ არა განცხადებების შესახებ, არამედ იმაზე [illegible] თუ არა ჩვენ [illegible], [illegible] და [illegible] თუ არა [illegible] კითხვის გადასაწყვეტათ, გვექნება თუ არა ჩვენ სახელმწიფო ბანკი თუ არა“. ამ სახელმწიფო ბანკის [illegible] ჩვენ [illegible] 1917 წლის ბოლოში, [illegible], გარდა [illegible].

ბურჟუაზია [illegible] მაშინ ჩვენ [illegible] თვალსაზრისით [illegible] „ჯერ ერთი ჩვენ [illegible] თქვენ [illegible], [illegible] თუ არა თქვენ [illegible], თუ ეს [illegible], ეს კითხვა გადაწყდება არა [illegible] ჩვენ, რუსეთიდან განდევნილი კაპიტალისტები, არამედ ყველა ისინი, ვისაც კაპიტალისტური [illegible] შენარჩუნებაში დაინტერესებული არიან. და თუ გამოირკვა, რომ ისინი საკმაოთ დაინტერესებული არიან ამაში, მაშინ ჩვენ, რუსეთის კაპიტალისტებს მხარს დაგვიჭერს საერთაშორისო ბურჟუაზია“ და უნდა ვთქვათ, რომ თავის ინტერესების მიხედვით ბურჟუაზია სწორათ მოიქცა. მას არ შეეძლო, თუ ჰქონდა იმედი ძალადატანებით—მით, გადაეწყვიტა ძირითადი საკითხი, მას არ შეეძლო და არც უნდა დათანხმებოდა იმ კერძო დათმობაზე, რომელსაც სთავაზობდა მას საბჭოთა ძალაუფლება, რომ ამით ამ უკანასკნელს შეძლებოდა ახალ წყობაზე თანდათანობით გადასვლა, „მე არ მრწამს ეს გადასვლა ახალზე“-ო, ასე გვიპასუხა ბურჟუაზიამ.

(შემდეგი იქნება)

ყოფილების და სექციის კოლეგიის არჩევნები, ამასთანავე კლუბის სექცია უნდა აყვანილ იქნას 5 პირამდის. ს. პ. კ. ს. კულტ. განყოფილების კოლეგიაში არჩეულია ამხ. პრეობრაჟენსკი და ფანცხავა, კანდიდატებად სეროპიანი და მარკოზოვი. სექციები შემდეგია: წერა-კითხვის უცოდინარების სალიკვიდაციო სექცია, პროფტექნიკურ განათლების, სოციალურ აღზრდის, საკლუბო-ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდათა შორის მომუშავე სექცია.

მუშათა ფაკულტეტის კურსელების სოციალურათ უზრუნველყოფა.

ს. პ. კ. ს. კულტ. განყოფილების სხდომაზე გამოიმუშავეს მუშათა ფაკულტეტის კურსანტების სოციალურ უზრუნველყოფის შემდეგი გეგმა. ყველა კავშირის მიერ მივლინებული ამხანაგები თავისუფლდებიან 2 საათით დღეში, ამავე დროს მათ ენახებათ წარმოებებში სამსახურის ჯამაგირი. მიეცემათ ულუფა თანახმად პარტ სკოლისა. პროვინციელი კურსელების და უკანასკნელ 2 კურსის სტუდენტები სარგებლობენ სრული სოციალურ უზრუნველყოფით და თავისუფლდებიან მუშაობისაგან მთელი დღით. ყველა კურსელს უნდა უყონ გამოცდა. მუშათა ფაკულტეტის საბჭოში არჩეულია ამხ. ედილსონი, დეკანად—ამხ. ბიურიუკოვი.

პრეზიდიუმის მუშაობა.

პრეზიდიუმი თავის სხდომებზე იხილავდა უმთავრესად ორგანიზაციულ ხასიათის საკითხებს. რეგლამენტის დამტკიცება, განყოფილებების საბოლოო შექმნა და შემდეგში მათი გაძლიერება პროფმუშაკებით. პროვინციის მუშაობას აგრეთვე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული პასუხისმგებელ ამხანაგების მივლინებით, რომ უფრო მეტათ გაცნობილ ყოფილიყო განყოფილებათა მუშაობას, უკანასკნელნი აკეთებდნენ მოხსენებას პრეზიდიუმის სხდომებზე, წარმოებულ მუშაობის შესახებ, და ამნაირად პრეზიდიუმი იყო ხელმძღვანელი კავშირის მთელი მუშაობისა. საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ მუშების ფართო მასების პოლიტიკურ განათლების საქმეს მიქცეული აქვს არამცირედი ყურადღება პოლიტიკურ უცოდინრების სკოლების გახსნით.

ცენტრალურ გამგეობის განყოფილებათა მუშაობა.

ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო განყოფილებამ რადგან საქარხნო კომიტეტები აწარმოებენ მეტად სუსტ მუშაობას, მათი მუშაობის გაძლიერების და გაცხოველების მიზნით, გადასწყვიტა მოახდინოს ხელახალი არჩევნები უფრო უმოქმედო და მუშაობის უნარმოკლებულთა ადგილობრივ კომიტეტებისა. ამასთანავე ერთად მოხერხდა მთლიანად ყველა გეგმების განხორციელება, რომლებიც დასახული იყო განყოფილების შექმნის დღიდან. ხელახალი არჩევნების გატარებისადმი მუშათა ფართო მასების დამოკიდებულება მეტად კარგი იყო. მასსა იჩენდა ყურადღებას და ინტერესს.

საბჭოთა მუშაკთა კავშირის მოქმედება ოქტომბრის განმავლობაში.

ცენტრალურ მართველობის და პრეზიდიუმის მთელი ყურადღება მიქცეული იყო საორგანიზაციო საკითხებისაკენ. ისმენდნენ განყოფილებების მოხსენებებს და ამტკიცებდნენ შემდეგი მუშაობის გეგმებს. მართველობამ გადაწყვიტა მიაქციოს სათანადო ყურადღება კავშირის პროვინციალურ განყოფილებების მუშაობის გაძლიერებას და დაიჭირა მასთან რეგულიარული და სწორი კავშირი. ამ მიზნით ადგილობრივ დაგზავნილი არიან ინსტრუქტორები. პროვინციალურ განყოფილებების მუშაობის შესახებ ძალიან მცირე ცნობებია. ცნობები გვაძლევენ მხოლოდ წევრების და ადგილობრივ კომიტეტების რიცხვს. ქალაქის მაშტაბით ორგანიზაციული მუშაობა გამოიხატებოდა ადგილობრივი კომიტეტების კონფერენციების მოწვევაში მიმართვების და შტატების შემოკლების საკითხის შესახებ. ადგილობრივ კომიტეტების რიცხვი, ზოგიერთების შეერთების შემდეგ, 80-დან დაყვანილია 72-დის. ადგილობრივი კომიტეტების მუშაობის გამოსაცოცხლებლათ, ადგილობრივ კომიტეტებს ინსტრუქციები ეძლევათ და კვლევა-ძიება სწარმოებს. ხოლო უფრო მეტად უმოქმედონი ხელმეორეთ არჩეული იქნებიან. შტატების შემოკლებას თითქმის საბჭოთა ყველა დაწესებულებაში შეუდგნენ, მაგრამ რიცხვი ანუ პროცენტი მათი, რომლებიც ექვემდებარებიან შემოკლებას, არაა გამორკვეული. პროფტექნიკურ განათლების სფეროში გახსნილია და სწარმოებს სტენოგრაფიულ კურსები. განზრახულია გაიხსნას ბუხჰალტერიის და ანგარიშის წარმოების კურსები.

კულტურული იაჩეიკები წარმოებებთან სუსტათ მუშაობენ. შრომის ჯილდოს პრემიალური სისტემის გატარება ახლა ეწყობა. ეს სისტემა იქნება მხოლოდ გატარებული იმ წარმოებებში, რომლების შტატებიც შემოკლებულია ომის წინა დროის შტატების ოდენათ.

შეშის დამზადების კამპანიაში მონაწილეობას იღებს 180 თანამშრომელი. დამზადება სწარმოებს დამაკმაყოფილებლათ.

შრომის ინსპექტორების კურსები

საბჭოთა ხელის-უფლების შემოღების შემდეგ მუშებისთვის ახალმა ვარსკვლავმა გაანათა. მუშებმა თვით აიღეს ხელში ძალა-უფლება, მათ ეხლა არავინ ყავთ ბატონი და თვითონვე შეგნებულათ უძღვებიან თავიანთ საქმეს.

3 ნოემბერს ქ. თბილისში გაიხსნა კურსები შრომის ინსპექტორებისა, სადაც მოწვეულნი არიან საუკეთესო ლექტორები, რომლებიც დიდ ყურადღებით ეკიდებიან ამ საქმეს და მონდომებული არიან, რომ მათი შრომა უნაყოფოთ არ დარჩეს, რაზედაც დიდ მადლობას ვუძღვნით ყველა ვინც ამ კურსებზე მონაწილეობას ეღებულობთ. ამ კურსებზე არიან თავმოყრილი სამოცდა ათი მუშა. ეს მუშები არიან როგორც ადგილობრივი, ისე პროვინციებიდან, თვით სამუშაოდგან მოხსნილი და გამოგზავნილი. მათ მოვალეობას შეადგენს, შეისწავლონ ის, თუ როგორ უნდა დაიცვათ შრომა, როგორც დიდების ისე პატარების.

ვუსურვებ ამ კურსებს ნაყოფიერ მომავალს.

დარო გელდგაძე.

ოქტომბრის რევოლიუციის 4 წ. თავის დღესასწაული პროვინციაში

ს. აგჭალა.

1921 წ. 6 ნოემბერს სოფელ აგჭალაში გაიმართა ქალთა კვირაობა, აგჭალის და წყალსადენის ქალებმა ენერგიულათ დაიწყეს მუშაობა; მათ გამოიტანეს საკუთარი მანქანები და შეუკერეს ბავშვებს ტანისამოსი, საღამოს 5 საათზე მორჩნენ კაბების და ხალათების შეკერვას, ბავშვებს ჩააცვით ტანისამოსი და ისე გაუსტუმრეთ თავთავიანთ სახლში. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა ისინი იკაზმებოდნენ ახალი ტანისამოსით; დაურიგდათ ტანისამოსი მხოლოდ ობოლ და ღარიბ გაჭირვებულ ბავშვებს. 7 ნოემბერს დილის 10 საათზედ გაიმართა კრება, კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. კანკავა, მდივნათ ამხ. ხარებავა. დღის წესრიგში იდგა: დაარსება მეორე საფეხურის სკოლის, ჯაფარიძის სახელობაზედ და უსწავლელთა სალიკვიდაციო სკოლისა, რომელიც ამა დღევე იქნა გახსნილი დიდი ზეიმით. წყალსადენში მოხსენება გააკეთა სწავლა განათლების გამგემ თ. ბებურიშვილისამ. კრების გათავების შემდგომ, წყალსადენიდან ქალი და კაცი წითელი დროშით გაემართნენ ს. აგჭალში, სადაც იყო მიტინგი მოწვეული. ამ დღის აღსანიშნავად მოხსენება გააკეთა ამხ. სალარაძემ. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა დღესასწაულს. ამავე დღესვე ზემო აგჭალის, ქვემო აგჭალის და წყალსადენის ბავშვება მოიყარეს თავი წყალსადენში თავთავიანთ მასწავლებლებით; ბავშვები ყველა კარგად იყვნენ გამოწყობილნი, ხელში პატარა წითელი დროშები ეჭირათ. 12 საათამდის თამაშობაში იყვნენ გართულნი. 1 საათზე ბავშვებს დაურიგდა სადილი. საღამოს იქმნა გამართული წარმოდგენა. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა, ამხ. ხარებავამ მოკლეთ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა. მოხსენებით დამსწრენი კმაყოფილნი დარჩნენ. დადგმული იქნა „შურის ძიება" (დრამა 2 მოქმედ.) „მონადირე" (ვოდევილი 1 მოქმედ. და „ჩანჩურა" (ვოდევილი 1 მოქმედ.) მოთამაშეებმა კარგად შეასრულეს თავთავიანთი როლები.

პატუელი.

საჩხერე.

ჯერ კიდევ დილიდანვე დ. საჩხერემ მიიღო სადღესასწაულო ელფერი. ვაჭრობა და მუშაობა დაწესებულებებში შეწყვეტილია, შენობები მორთულია წითელი დროშებით. დაწესებულებები — მწვანეთ შემკობილი, საათის ათიდან დაიწყოს დენა ადგილობრივი რევკომის შენობისაკენ სოფლებიდან კომუნისტურმა რაზმებმა, უმთავრესათ ახალგაზრდობამ. ორასამდე შეიარაღებული კომუნისტი, ახალგაზრდა და ქალ-რა შერთული გლეხობა საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. თორმეტ საათზე დაიძრა დემონსტრაცია რევკომიდან. რაზმს წინ მიუძღოდა ამხ. ლენინის და მახარაძის სურათები მწვანეთ და წითლათ მორთული, შემდეგ დროშები და საპატიო ყარაული. ამას მოყვება გრძლათ გაჭიმული კომუნისტური რაზმი მწყობრათ დაწყობილი, მოწაფეობა და მოქალაქენი. დემონსტრაციას წინ უძღოდა მომღერალთა გუნდი; რომელიც „ინტერნაციონალის" ჰანგებს უხვათ აფრქვევდა ჰაერში, დემონსტრაცია მიდის ვაგზლამდე, სადაც იმართება მღლუმი, რის შემდეგ ბრუნდება უკან და ჩერდება დემონსტრაცია თეატრთან, სადაც უნდა მოეწყოს მიტინგი.

მიტინგს ხსნის საჩხერის რაიონის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგი ვ. ხარაიძე, რომელიც მიესალმება რა კრებას, მოკლეთ აღნიშნავს 7 ნოემბრის დიად მნიშვნელობას მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის. ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა რევკომის თავმჯდომარეს ამხ. ვალიკო კუპატაძეს. ის განმარტავს რა რამდენიმე სიტყვით დღევანდელი დღის დღესასწაულის მნიშვნელობას, ვრცლათ არკვევს ყველა იმ ეტაპებს, რომელიც განვლო რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ. ძნელი იყო ის პირობები, რომელშიც უხდებოდა ახალი საზოგადოების შენება რუსეთის პროლეტარიატს, ყოველი მხრიდან შემორტყმული იყო ის ცოფ მორეული იმპერიალისტური ურდოებისაგან, თვით შიგნით შავი გენერლები და მოღალატე მენშევიკ-ესერები მას ზურგში მახვილსა სცემდნენ, მაგრამ მუშათა კლასის გასალკლდევებული ნების ყოფის ზღუდეებზე დაიმსხვრა კონტრ-რევოლიუციონერთა ზრახვანი და ოთხი წლის გმირული ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი გამოდის უძლეველი წითელი არმიის წყალობით გამარჯვებული. ამხ. კუპატაძე ეხება შემდეგს განვითარებას რევოლიუციისას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, მის შედეგებს და დამოკიდებულებას კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის და უხატავს საზოგადოებას მომავლის პერსპექტივებს ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავთან დაკავშირებით. მისი სიტყვები იფარება ტაშის ცემით და „ვაშამარჯოს" ძახილით. ამხ. კუპატაძის მერე ლაპარაკობენ სოფლელი ამხანაგი მუშები, რომელთა ლაპარაკი იწვევს საერთო აღტაცებას. ეს დღე ჭეშმარიტათ მუშების და გლეხების დღე იყო საჩხერეში. მიტინგი დაიშალა „ინტერნაციონალით". საღამოს ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ თეატრში. ხშირი არ არის ასეთი დღეები პროვინციაში.

მეხა.

ქ. სურამი

ჯერ კიდევ 5—6 ნოემბერს სურამის პარტკომის და რევკომის თაოსნობით ქალ. სურამის ყველა დაწესებულებანი შეუდგნენ მზადებას. მორთეს მწვანეულობით და წითელ დროშებით თითქმის ყველა დაწესებულებანი და განსაკუთრებით კოხტად პარტკომი და უფრო მუშათა კლუბი.

7 ნოემბერს წინასწარ შემუშავებულ გეგმის თანახმად ხალხმა დაიწყო დენა დანიშნულ ადგილისაკენ: იტრიის რევკომის წინ მოდიან აქ სურამის ამქრები წითელ ბაირაღებით და ზურნით, მოდიან საბჭოთა მოსამსახურენი წითელი დროშით და პროფკავშირის სეკრეტარიატის მეთაურობით, მოდის მწყობრად ახალგაზრდა კომკავშირი, მოდის ყველა ვინც კი თანაუგრძნობდა ბრწყინვალე დღესასწაულს და ბოლოს რაიონული კომუნისტური რაზმი თოფებით და მუსიკით. იქნებოდა დილის 10 საათი, რომ ქუჩა და რევკომის ეზო გაივსო ხალხით. რევკომის აივანზე გამოვიდა პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. სტ. აკოფოვი და მოკლე სიტყვით მიულოცა დამსწრეთ დიადი მუშა გლეხთა დღესასწაული და მოუწოდა მათ, სივრცის გამო, ყველა გამგზავრებულიყვნენ იტრიის სკოლის მოედნისაკენ. ხალხი მუსიკით და რევოლიუციონური სიმღერით გაემგზავრა დანიშნულ ადგილას. აქ მოგროვდა სოფლელი გლეხობა და უცდიდა მანიფესტაციის მისვლას. აი მოვიდა კიდეც ამოდენა ხალხი და შემოერტყა ირგვლივ წინასწარ გამართულ ტრიბუნას. საათის 11 იქნებოდა, რომ ტრიბუნაზე ავიდა ამხ. აკოფოვი და მიტინგი გამოაცხადა გახსნილად. პირველად ილაპარაკა ამხ. ვ. ქურდაძემ, (რევკომის თავმჯდომარემ), მან მოაგონა ხალხს რევოლიუციის თანდათანობითი მსვლელობა, გაფართოვება და გაღრმავება, ბოლშევიკების ესე იგი მუშა გლეხების 1917 წლ. 25 ოქტომბერს რუსეთში გამარჯვება და შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება; აუხსნა საბჭოთა წყობილების სარგებლობა მშრომელ ხალხისათვის. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ძამიამ, რომელმაც განუმარტა ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა, გააკეთა ანალიზი წარსულ მართვა წყობილებას და შეადარა დღევანდელ მუშა გლეხთა საბჭოთა ხელისუფლებას, აუხსნა უკანასკნელი წყობილების სამართლიანობა და სიწმინდე და მშრომელ ხალხისათვის მეტი სარგებლიანობა. შემდეგ სიტყვა სთქვა ამხ. აკოფოვმა მან მოუწოდა მშრომელ ხალხს დაუჭირონ ყოველთვის მხარი ახლანდელ წყობილებას, როგორც მისი ინტერესების ერთად ერთ დამცველს.

ილაპარაკა წითელ არმიელების წარმომადგენელმაც ამხ. ტიმოშინმა ჯარის ცხოვრებიდან, მის ბევრი გაჭირვებულ დღეების გადატანის შესახებ, ბოლოს ბრწყინვალე გამარჯვებაზე, ნამდვილ თავისუფლების და მუშა გლეხური წყობილების დამკვიდრებაზე. შემდეგ კრება იხურება და ხალხი მუსიკით და სიმღერით გაემართა სურამისაკენ; აქ პარტკომის წინ ითქვა კიდევ რამდენიმე არატორთა მხრივ მხურვალე სიტყვა და მიტინგი დაიშალა.

საღამოს 6 საათზე: უამრავი ხალხის თანდასწრებით გაიხსნა მუშათა კლუბები ითქვა ამხ. აკოფოვის და ამხ. ხიდრიბეგიშვილის მიერ მისალოცი სიტყვები, შემდეგ ადგილობრივ დრამატიულ დასის მიერ დადგმულ იქმნა ერთ მოქმედებიანი წარმოდგენა „დატრიალდა ჯარა", წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა—თამაში და ღამის 12 საათზე ხალხი დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

ქ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 80.

საქართველოს სოც. ს. ბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა კერძო გამომცემლობის შესახებ.

1. ნება დაერთოს საზოგადო ორგანიზაციებს, საგამომცემლო ამხანაგობათ და არტელებს აწარმოონ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წიგნებისა და ბეჭვდითი ნაწარმოებთა კერძო გამომცემლობა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები კერძო გამომცემლობის წარმოებისათვის ნებართვას მიიღებენ განათლების სახალხო კომისარიატისაგან, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ამტკიცებს ამ ორგანიზაციების წესდებას.

3. კერძო გამომცემლობის წარმოებას კონტროლს გაუწევს განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც ამისათვის განსაკუთრებულ წესებს შეიმუშავებს.

4. განათლების სახალხო კომისარიატი ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო დებულება კერძო გამომცემლობისა და სახელმწიფო გამომცემლობის ურთი-ერთი დამოკიდებულების შესახებ.

5. ყოველ კერძო გამომცემლობას ნება ეძლევა,—განათლების სახალხო კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეიძინოს გამომცემლობის საჭიროებისათვის ქაღალდი, სტამბის მანქანები, შრიფტი და სხვა მასალა, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარედ.

6. ყოველ გამომცემლობას ნება ეძლევა გაავრცელოს წიგნები თავისუფალი ვაჭრობის საშუალებით, როგორც საკუთარ საწყობებში, ისე კერძო წიგნის მაღაზიებში, თანახმად ამა დეკრეტის მე 4 ე მუხლისა.

7. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ა. ხუდაძე.

1921 წ. ნოემბრის 25.

ტფილისი—სას. ხლე.

ბრძანება № 51.

ქალ. ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტის.

23 ნოემბერი 1921 წლ. ქ. ტფილისი.

§ 1.

ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების საბინაო ქვე-განყოფილებას ვაცხადებ დღეის რიცხვიდან გაუქმებულათ და მისი შტატი დღევანდელი შემადგენლობით დაშლილია ამავე რიცხვიდან.

ქალ. რევკომის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი მდივანი.

ცირკულიარი № 6.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მაღალ კულტურის მიწის ნაკვეთების დანაწილებისაგან დასაცავათ.

ამ ჟამათ მიწის კომიტეტები ათავებენ მიწის ნორმების გამორკვევას და ნაწილობრივ უკვე შეუდგნენ მიწების დროებით დანაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის;

მიწად-მოქმედების კომისარიატი, ზრუნავს რა ვენახების, ბაღების პლანტაციების და სხვა მაღალ კულტურით ნაშენ მიწის ნაკვეთების დანაწილებისა და დაზარალებისაგან გადარჩენაზე, წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ სადანაწილებო ორგანიზაციებს, როცა საქმე ასეთ ნაკვეთებთან ექნებათ, იხელმძღვანელონ გამომუშავებულ ნორმების დამტკიცებამდე შემდეგით:

1. მაღალი კულტურით ნაშენი მიწის ნაკვეთები, თუნდაც ისინი გამომუშავებულ ნორმაზე მეტი იყვნენ, არ უნდა იქნენ დანაწილებულნი;

2. ასეთი ნაკვეთები, როცა ისინი ეკუთვნიან უმუშევარ პირთ, გარდა ისეთი პირებისა, რომელთაც გულისხმობენ ცირკულიარები №№ 3 და 5, უნდა ჩამორთმეულ იქნენ მთლიანათ და გადაცემული მშრომელ ამხანაგობებზე და არტელებზე;

3. ის პირები, რომლებიც საკუთარის შრომით ამუშავებენ თავის კულტურულ ნაშენს, როცა ეს უკანასკნელი გამომუშავებულ ნორმას აღემატება ზომით, ვალდებულნი არიან შეუთანხმდნენ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე სოფლელთ და მოაწყონ მათთან ერთად მეურნეობა საამხანაგო ან საარტელო საფუძველზე, თანახმათ მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ გამოცემულ წესდებებისა.

მიწად-მოქმედების კომისარი ფ. მახარაძე.

15 ნოემბერი 1921 წელი.

ცირკულიარი.

ყველა სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილებებს, ახლა სამაზრო რევკომებს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომის დადგენილების № 57 მე-2 ე მუხლის განსამარტავათ გაცნობებთ, რომ სათბობი მასალა ნორმების მიხედვით და საშენებელი ნორმ[illegible]ბში ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით თანახმად სათანადო მოწმობების წარმოდგენისა ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენელთაგან ან სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებათაგან, მიეცემათ სამაზრო სატყეო ქვე-განყოფილების განკარგულებით ადგილობრივ მცხოვრებთა შემდეგ კატეგორიებს:

1. სრულიად უფასოდ.

ა) სტიქიური უბედურებისაგან (ცეცხლი, წყალი, მიწის ძვრა, საომარო მოქმედება და სხვა) დაზარალებულთ თუ მათ სხვა სახსარი არა აქვთ.

ბ) უსახსრო ქვრივებს, ობლებს და დავრდომილებს, რომელნიც იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფის მიმხედველობაში.

გ) წითელ არმიელ უსახსრო მოსახლეებთ, რომელთაც საკუთარი ნათესობა არ ყოფნით თავის გამოსაკვებათ.

დ) გადასახლებულთ საახალშენო ქვე-განყოფილების განკარგულებით.

შეღავათიან ფასებში 50 პროც.-75 პროც. დაკლებით:

ა) ხელმოკლე მრავალ რიცხოვან ოჯახის მეპატრონე ერთ მუშა ხელს.

ბ) ხელმოკლე ახლად გაყოფილთ.

გ) ხელმოკლე მუშა-მოსამსახურეებს.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული წესით გაცემული სათბობი და საშენებელი მასალა უნდა აუცილებლივ მოხმარდეს თავის პირდაპირ დანიშნულებას, ამ წესით მიღებული მასალის გაყიდვა, ან და სხვა პირზედ გადაცემა სასტიკათ აკრძალულია, დამნაშავეთ მიცემული მასალა ჩამოერთმევათ და პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

მიწად მოქმედების სახ. კომისარი ფ მახარაძე.

საქმეთა მმართველი გ. ზერაძე.

სატყეო განყოფილების გამგე ხ. ბაქრაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი: კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტური კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ორშაბათს, 28 ნოემბერს საღამოს 6 საათზე.

საბჭოს დიდ დარბაზში, (მუშათა სასახლე, პირველი სართული,(შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული

სხდომა

პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფაბქარხკომებთან და ადგკომებთან ერთად.

დღის წესრიგი.

1. კავშირების საორგანიზაციო მიზნები, ამხ. ოდილოვაძის მოხსენება.
2. მელითონეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოღვაწეობის ანგარიში.
3. ფეიქართა და მკერავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოღვაწეობის ანგარიში.
4. მიმდინარე საკითხები.

ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

კვირას 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე,

ახალგ. კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, (რუსთაველის პროსპექტი № 20)

შესდგება, საქართ. ახალგაზრდათა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტიურ მომუშავეთა

კრება

დღიური წესრიგი: ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის და საბჭოთა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

საქ. ახალგ. კომკავშირის ცეკა.

სამშაბათს 29 ნოემბერს

სომხეთში საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების პირველი წლის თავზე შესდგება

კონცერტ-მიტინგი

მეორე სახელმწიფო თეატრის ზალაში (ყოფილი არტისტიული)

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

სიტყვებით გამოვლენ ამხ. კახიანი, ლუკაშინი, მრავიანი, ხუნხატიანი და სხვ. მოწვეულია წევრები რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ც. კ. და თბილისის კომიტეტის, საქართველოს და თბილისის კომიტეტის, საქართველოს და თბილისის რევკომების, პროფსაბჭოს, საბჭოთა მისიების და ყველა პარტიული წევრები და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. შესვლა შეიძლება აგრეთვე უპარტიო მოქალაქეებისათვისაც.

ჟურნალი „ქურა"

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა" იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5) სანდრო ეულის სახელზე.

პარტიული

— ორშაბათს 28 ნოემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება მე 4 რაიონის მდივნების თათბირი ძლიერ საყურადღებო საკითხებზე.

შენიშვნა: ვინც არ გამოცხადდება სასტიკათ დაისჯება პარტიული დისციპლინის წესით.

პროფესიული

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირი ამით აცნობებს ყველა ადგკომებს, რომ კავშირის წევრთა რეგისტრაცია დამთავრდა ამა ნოემბრის 26-დან.

ტირაჟი 13,000 [illegible] [illegible] სტამბა [illegible]